საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი-კვირა, 14-15 სექტემბერი. 2019 წ. №182 (8848) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

მხილება

ვალიაროთ: მეოცე საუკუნის ისტორია საერთოდ არ გვაქვს!

ისტორიის მოკლე კურსი ჭუკლინისგან

③

სალომე ზურაბიშვილი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს ესაუბრა

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს მედლინ მუნის და ნატოს საპარლამენტო დელეგაციას შეხვდა. პრეზიდენტის სასახლეში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა საქართველო-ნატოს ურთიერთობების პროგრესის საკითხი განიხილეს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, სალომე ზურაბიშვილმა შეხვედრისას საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და ამ პროცესში საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერის შესახებ ისაუბრა.

შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებულ საკითხებს და სალომე ზურაბიშვილს მედლინ მუნიმ საკუთარი შთაბეჭდილებები და ემოციები გაუზიარა ხურვალეთში საოკუპაციო ხაზთან სტუმრობის გამო. პრეზიდენტმა ნატოს საპარლამენტო ასამბლეასთან განიხილა ასევე შიდაპოლიტიკური საკითხები, პრეზიდენტის ახალი ფუნქციები და ეკონომიკური პროექტები.

გენერალური პროკურატურა: მამუკა ხაზარაძე ტყუის!

საქართველოს გენერალური პროკურატურა ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში მამუკა ხაზარაძის მიერ გაკეთებულ შეფასებებზე განცხადებას ავრცელებს.

„არაერთხელ აღინიშნა, რომ სიმართლეს არ შეესაბამება მამუკა ხაზარაძის განცხადებები, თითქოს პროკურატურამ არ დაიწყო გამოძიება ეგრეთ წოდებულ წერილთან დაკავშირებით. მამუკა ხაზარაძის მიერ წარმოდგენილი „დოკუმენტი“ დაუყოვნებლივ დაერთო მოქმედ სისხლის სამართლის საქმეს, რაც პროცესუალურად ნიშნავს, რომ მასზე გამოძიება დაწყებულია და გრძელდება. გამოძიების მიმდინარეობის კიდევ ერთი დასტურია ის გარემოება, რომ მამუკა ხაზარაძე ამ ფაქტზე სასამართლოში გამოიკითხა მოწმის სახით. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მოწმე იკითხება მხოლოდ მოქმედი, დაწყებული გამოძიების ფარგლებში.

ამ ეპიზოდის სრულყოფილად და ობიექტურად გამოძიება განზრახს შეაფერხა თავად მამუკა ხაზარაძემ, რომელმაც არ ითანამშრომლა გამოძიებასთან, მოსამართლის წინაშე დაკითხვისას არ წარმოადგინა ე.წ. წერილის ორიგინალი და ამასთან, კატეგორიული უარი განაცხადა შუამავლის დასახელებაზე. ამის გამო, პროკურატურა მოკლებულია შესაძლებლობას, დანიშნოს შესაბამისი ექსპერტიზები ე.წ. წერილთან დაკავშირებით და გამოკითხოს მოწმეები.

ამასთან, გაუგებარი და სამართლებრივ ჩარჩოებს აცდენილია ბრალდებულ მამუკა ხაზარაძის მოთხოვნები იმის შესახებ, რომ იგი მხოლოდ განსაკუთრებული წესით წარმართულ საგამოძიებო მოქმედებებში მიიღებს მონაწილეობას. ეს პოზიცია სრულ წინააღმდეგობაში მოდის მოქმედი სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კოდექსებთან. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქმეზე პროკურატურა გამოძიებას აწარმოებს კანონმდებლობის სრული შესაბამისობით და არანაირი საგამონაკლისო წესი პიროვნების საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ ქონებრივი სტატუსის მიუხედავად არ დაიშვება“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ელდარ ნადირაძე – 70

ეთნოლოგი, კულტუროლოგი, პუბლიცისტი...

ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სახელოვან თანამშრომელს, დიდი და ცნობილი ოჯახის ღირსეულ წარმომადგენელს, ბატონ ელდარ ნადირაძეს გულწრფელი პატივისცემით მივულოცავ დაბადებიდან 70 წლის იუბილეს.

პირდაპირ ვიტყვი: ვისაც ბატონ ელდართან ჰქონია საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობა, ყველა დამეთანხმება, რომ იგი არის უაღრესად გულწრფელი და მართალი ადამიანი და ეს მისი გამოკვეთილი თვისება სანიმუშოდაა შერწყმული მაღალმეცნიერულ კვლევასთან, რომელიც დიდი პროდუქტიულობითაა წარმოდგენილი მის შესანიშნავ მონოგრაფიებში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონი ელდარის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რომელიც ატარებს ეროვნული ღირებულებების დაცვისა და ამ ღირებულებათა მიმართ განწყობილი პერსონებისადმი უკომპრომისო დამოკიდებულებას.

ჩემთვის დიდი პატივია მასთან თანამშრომლობა და მეგობრობა. კიდევ ერთხელ მივულოცავ ბატონ ელდარს სახელოვან თარიღს და ვუსურვებ, დიდხანს ეღვაწოს თავისი ქვეყნისა და ჩვენი ერის სულიერი საუნჯის – საქართველოს ეროვნული მუზეუმის საკეთილდღეოდ.

დავით ლორთქიფანიძე,
საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

თემის გაგრძელება იხ. 5 გვ.

მართლაც კარგი წიგნები მართლაც კარგი კაცებივით ცოტაა

⑥⑦

გიორგი გახარია: მთავრობის ძირითადი პრინციპები იქნება საქმის ეფექტიანი კეთება, კეთილსინდისიერება და დისციპლინა

— ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომელიც მისი ხელმძღვანელობით გუშინ პირველად გაიმართა.

მისი თქმით, ყველამ ერთად უნდა იზრუნოს პირველ რიგში, ახალგაზრდებზე, ბავშვებსა და ღვაწლმოსილ მოხუცებზე.

„მინდა, ასევე ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი ძირითადი პრინციპები იქნება საქმის დროული და ეფექტიანი კეთება, კეთილსინდისიერება და, რაც მთავარია, დისციპლინა. ჩვენი ძირითადი პრინციპი იქნება ღიაობა, მაქსიმალური კომუნიკაცია უნდა ავაწყოთ ჩვენს მოქალაქეებთან, სამოქალაქო სექტორთან, ბიზნესთან. ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, პირველ რიგში, ჩვენს ახალგაზრდებზე, ბავშვებსა და ჩვენს ღვაწლმოსილ მოხუცებზე. ასევე, მინდა გთხოვოთ, რომ თითოეულმა თქვენგანმა მთავრობის სხდომის შემდეგ, არა მხოლოდ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე გააცნოს მედიას ინფორმაცია, რომელსაც წარმოადგენენ მთავრობის სხდომაზე, არამედ საზოგადოებისა და ჩვენი მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვან თემებზე, თუნდაც ეს თემები მთავრობის სხდომაზე განსახილველი არ ყოფილიყოს“.

ამასთან, გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობაში ორი ვიცე-პრემიერი იქნება, ვიცე-პრემიერის თანამდებობებს დაიკავებენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **მაია ცქიტიშვილი,** ასევე იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი.**

პრემიერი გუბერნატორებს მწვავედ აკრიტიკებს!

რეგიონებში ჩვენი მოქალაქეებისთვის მთავრობის განსახიერება არის ის ჩინოვნიკი, რომელიც მათ პრობლემებს აგვარებს ან ვერ აგვარებს. ამ მიმართულებით გუბერნატორების პასუხისმგებლობა სრულად პერსონალიზებული იქნება.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა პრობლემების მოკლე ვადებში მოგვარების აუცილებლობას და გუბერნატორებს დროში გაწერილი კონკრეტული სამოქმედო გეგმის უახლოეს პერიოდში წარმოდგენა დაავალა.

„აუცილებელია, ვიმოქმედოთ სწრაფად, ეფექტიანად და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი უნდა იყოს გამყარებული კეთილსინდისიერი ქმედებით. არავის აქვს იმის რესურსი, რომ კიდევ დიდხანს გველოდოს. ამიტომ, განსაკუთრებით თქვენს შემთხვევაში, პასუხისმგებლობა სრულად პერსონალიზებული იქნება. უახლოეს დღეებში უნდა განსაზღვროთ რეგიონებში არსებული სისტემური პრობლემების სტატუსი და წარმოადგინოთ კონკრეტული გაპრობლემებური საქმეები, შემდგომ კი — პირდაპირი, დროში გაწერილი გეგმა და კონკრეტული პასუხისმგებლობები. თქვენი ძირითადი ამოცანაა პრობლემების მოგვარება და არა — პრობლემების შექმნა“, — მიმართა პრემიერ-მინისტრმა გუბერნატორებს.

მთავრობის მეთაურისა და რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების შეხვედრა გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

ილია მეორე სომეხთა სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წინამძღვარს შეხვდა

სრულიად **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ 13 სექტემბერს სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წინამძღვრის მოვალეობის ახლად დანიშნული შემსრულებელი, არქიმანდრიტი კირაკოს დავთიანი და მისი თანმხლები პირები მიიღო.**

შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა და საუბარი შეეხო მშვიდობისა და ურთიერთპატივისცემის განმტკიცების მნიშვნელობას.

არქიმანდრიტმა კირაკოს დავთიანმა მის უწმინდესობას და უნეტარესობას მიღებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნია და თავის მხრივ ეცდება, რომ მისი მოღვაწეობით კიდევ უფრო გაღრმავდეს სომხების და ქართველების მეგობრობა. სტუმარმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს საჩუქრად დავით აღმაშენებლის ხატი გადასცა.

აღსანიშნავია, რომ სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წინამძღვრის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოშია დაბადებული, კარგად იცის ქართული ენა და საქართველოს ისტორია.

აფხაზეთში ასე მომრავლებულ სომხებს საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებენ!

აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სოციალურ ქსელებში გაჩნდა სომეხი ეროვნების მოსახლეობის პატივისა და ღირსების შემლახველი პუბლიკაციები. „აფხაზეთის სომეხთა საზოგადოების“ ლიდერი გალუსტ ტრაპიზონიანი ამბობს, რომ სახელმწიფო ასეთ ფაქტებზე არასათანადოდ რეაგირებს. იგი აღნიშნავს, რომ არაერთხელ მიმართა აფხაზეთის სახელმწიფო ორგანოებს მოთხოვნით, ბოლო მოეღოს სომხური საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციებს, თუმცა ამან შედეგი ჯერ ვერ გამოიღო.

როგორც გალუსტ ტრაპიზონიანი აზუსტებს, აფხაზეთის სამართალდამცავი ორგანოებისთვის კარგადაა ცნობილი ადამიანი, ვინც წელიწადნახევრის წინ ღიად და საჯაროდ ამჟღავნებდა აგრესიულ ანტისომხურ განწყობებს, თუმცა იგი არ დასჯილა. „აფხაზეთის სომეხთა საზოგადოების“ ლიდერის თქმით, ტენდენცია გრძელდება და სამართალდამცავი ორგანოები დღესაც უარს ამბობენ, რეაგირება მოახდინონ სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე. ამისთვის, გალუსტ ტრაპიზონიანის თქმით, ისინი ფაქტებს ითხოვენ. ფაქტი კი, რომელიც მას მოჰყავს, შემდეგია:



„ამ ცოტა ხნის წინათ სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვიდეორგოლი, რომელზეც ჩანს, როგორ ესვრიან ქვებს ომის ინვალიდს, უსინათლო, სამოცდაათი წლის კაცს. ეს ფაქტი და ეს ვიდეორგოლი არსებობს. მას მიმართავენ და ეკითხებიან:

— ვინ ხარ?
— სომეხი.
— იბრძოდი?
— კი.
— თავს გმირად მიიჩნევ?
— კი.
— რადგან გმირი ხარ, მაშინ მიიღე.

და ადამიანი მას ესვრის ქვებს. გესმით? იზოლირებაა საჭირო ისეთი ადამიანისა, რომელიც ფიქრობს, რომ სომხობა დასასჯელია“, — ამბობს გალუსტ ტრაპიზონიანი. იგი დარწმუნებულია, რომ ეროვნული შუღლის პროვოცირება უკიდურესად სახიფათოა.

„უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკა. დაუყოვნებელი რეაგირება უნდა დაიწყოს. ასეთი მომენტები უნდა შეწყდეს. რისთვისაა შექმნილი სპეცსამსახურები? იმისთვის, რომ მასალები შეკრიბოს, მსგავსი ფაქტები აღკვეთოს.

ყველაზე ცუდი და მტკივნეული იქნება, თუ ეს ეროვნებათშორის დაპირისპირებას გამოიწვევს. ეს ძალიან სახიფათოა. სომხური თემი სხვებთან ერთად ქმნის და აშენებს აფხაზურ სახელმწიფოს. ორას სომეხზე მეტი დაიღუპა 1992-93 წლების ომში, ომის ერთ-ერთი მეთაური მე თავად ვარ.

და თუ ასეთი რამ ერთად გავიარეთ, ხალხი ერთიანი იყო, დღეს ვინ შეძლებს აფხაზეთის ხალხის გაყოფას? ვისთვისაა ეს ხელსაყრელი? მოდი, დაფიქრდნენ და გადაწყვიტონ“, — უთხრა გალუსტ ტრაპიზონიანმა „ეხო კავკაზას“.

შიდაეროვნული სიძულვილის გაღვივების დაუშვებლობის შესახებ განცხადებები გააკეთეს პოლიტიკურმა პარტიებმაც, კერძოდ, „სახალხო ერთიანობის ფორუმმა“ და „აფსნიმ“.

პარტია „აფსნი“ გამოხატავს თავის აღშფოთებას სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების მიმართ, რომლებშიც **აფხაზეთის სომხურ თემს პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის წაგებაში ადანაშაულებენ.** როგორც პარტიის წევრები აღნიშნავენ, ეს ბრალდებები ძალზე შეურაცხმყოფელი ფორმებითაა გადმოცემული. „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმის“ წარმომადგენლები ასევე აღშფოთებულები არიან იმით, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს თავდასხმისა და ბრალდებების ობიექტები ეროვნული უმცირესობები, კერძოდ, სომხები გახდნენ:

„კეთდება უსაფუძვლო, თვითნებური მტკიცებულებები იმაზე, რომ მათ ხმა მისცეს „ზემოდან“ მითითებების შესაბამისად. ასეთი განცხადებები, თავისი არსით, პროვოკაციულია. ამ თემაზე სპეკულაციებს, ნაციონალურ თემებთან დაპირისპირებას დესტრუქციული ხასიათი აქვს და არავითარი კავშირი არა აქვს არჩევნებთან და მის შედეგებთან“, — აღნიშნავენ პოლიტიკური პარტია „აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმის“ წარმომადგენლები. პარტია მოუწოდებს სამართალდამცავ ორგანოებს, მიიღონ ყველა საჭირო ზომა პროვოკაციული ქმედებების თავიდან ასაცილებლად და აღკვეთონ ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივების ნებისმიერი ცდა.

ელენა ზავოდსკაია

მედლინ მუნი – მადლობას ვუხდით დათა ვანიშვილს სიმამაცისთვის...

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი მედლინ მუნი გუშინ ხურვალეთში, საოკუპაციო ხაზთან ჩავიდა. მედლინ მუნს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ადგილზე არსებული ვითარება გააცნეს. ასევე მიაწოდეს ინფორმაცია საოკუპაციო ხაზის სხვა მონაკვეთების შესახებ. მათ შორის საუბარი შეეხო სოფლებში გუგუტიანთკარსა და ჩორჩანაში განვითარებულ მოვლენებს. ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი საოკუპაციო ხაზს მიღმა დარჩენილ დათა ვანიშვილსაც გაესაუბრა, ასევე მას სიმამაცისთვის მადლობა გადაუხადა.

„საპარლამენტო ასამბლეა მოვიდა აქ, საოკუპაციო ხაზთან, რომ ნახოს, რა პრობლემები აქვთ იმ ხალხს, რომლებიც ერთ დროს საქართველოს მოქალაქეები იყვნენ და მეორე დღეს გაიღვიძეს და ეს მოქალაქეობა წართმეული ჰქონდათ.

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ თავად მოვისმინეთ ამ ადამიანის საუბარი და მადლობას ვუხდით სიმამაცისთვის, რომ მოვიდა და აგვიხსნა ყველაფერი, ის სირთულეები, რის წინაშეც დგას, რა ულმობელი და არაადამიანური პირობებია აქ, სადაც ადამიანებს საკუთარი მიწები ჩამოართვეს. ჩვენი საქმეა, რომ დავაკვირდეთ აქ მიმდინარე პროცესებს, დავსვათ კითხვები და გავიტანოთ ამ ადამიანის საუბარი ჩვენს შემდგომ შეხვედრაზე ლონდონში. ჩვენ ამას გავაკეთებთ. მე გპირდებით, ჩვენ არ დავწერთ მხოლოდ ანგარიშს და ეს იქ არ დამთავრდება, არამედ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც შეგვიძლია, რომ აქ მიმდინარე პროცესები უფრო ფართო საზოგადოებისთვის გახდეს გასაგები“.

საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვა თელავში

თელავში საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვა გუშინ დაიწყო. შეხვედრას ესწრებიან მმართველი გუნდის წევრები, პარლამენტის მოქმედი და ყოფილი თავმჯდომარეები, ასევე განხილვაში მონაწილეობენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები და კონსტიტუციონალისტები. საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე. საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის კომისია პარლამენტის 3 სექტემბრის პლენარულ სხდომაზე შეიქმნა. მას მხარი დაუჭირა 118-მა დეპუტატმა.

კომისიის შემადგენლობაში არიან პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე, პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი, ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი, ვიცე-სპიკერი სერგი კაპანაძე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი; ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე, ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე ოთარ კახიძე, დეპუტატები – ირაკლი კობახიძე, თინათინ ბოკუჩავა, ხათუნა გოგორიშვილი, ლევან კობერიძე, ასევე პარლამენტის თავმჯდომარის მრჩევლები თენგიზ შარმანაშვილი და თორნიკე ჭეიშვილი. კომისია იმსჯელებს საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებულ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც 2020 წლიდან პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას ეხება. საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა ქვეყნის მასშტაბით 11 ლოკაციაზე მოხდება. მათ შორის იქნება თბილისი და რეგიონები.

ვალიარით: მეოცე საუკუნის ისტორია საერთოდ არ გვაქვს!

ისტორიის მოკლე კურსი პუტინისგან

სამი თვის წინ, 9 ივლისს, პუტინმა საქართველოს ისტორიის მოკლე ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა. ახალი არაფერია პუტინისტურ ნარატივში, მაგრამ ამ მიმართულებით რუსული პროპაგანდა გაძლიერდება და საქართველოს მხრიდან მას არაფერი უპირისპირდება. არარუსი უცხოელებიც რომ გაიმეორებენ იმავეს, საქართველოში დიდი ვაი-ვაში ატყდება – როგორ თუ არ იციან საქართველოს ისტორია და რუსებს როგორ უჯერებენო, დაიწყება ახლიდან ძიება იმ წიგნების, სადაც ეს საკითხები მოკლედ და გასაგებადაა ჩამოყალიბებული და ისევ, უკვე მერამდენეჯერ აღმოვაჩენთ, რომ არათუ უცხო ენებზე, ქართულადაც ფაქტობრივად არაფერი გვაქვს.

მოკლედ, გადავხედოთ პუტინის ნათქვამს.

ვლადიკავკაზ – დაეუფლე კავკასიას

თუ არ ვცდებიო, ამბობს პუტინი, 1774 წელს შეუერთდაო მთელი ოსეთი, ჩრდილოეთიც და სამხრეთიც რუსეთსო, თან როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. მართალია, „ბოლშაია სოვეტსკაია ენციკლოპედია“, რომელზეც პუტინი არის გაზრდილი, ამ წელს ასახელებს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე და დიდ რუსეთთან შეერთების ეს თარიღი აზეიმებინეს ოს ხალხს 2014-ში – გამოგონილი თარიღია.

1774 წელს არ არსებობს არანაირი ერთეული, რომელსაც ჰქვია ოსეთი, დამოუკიდებელ სახელმწიფოზე, რომ არაფერი ვთქვათ. მეტიც, არ არსებობს არანაირი ოსი ლიდერი, რომელზეც შეიძლებოდა, გვეთქვა, რომ ოს ხალხს წარმოადგენდეს და ვთქვათ, რაიმე სურვილს გამოთქვამდეს რუსეთთან ურთიერთობის. ოსებით დასახლებული მთის რეგიონების შეერთებაზე ასტრახანის გუბერნატორი 1775 წელს წარუდგენს პროექტს ეკატერინე მეორეს, რომელსაც, როგორც ჩანს, განხილვის გარეშე მაშინვე თაროზე შემოდებენ. ამ დროს უკვე არსებობს ყაბარდოელთა მიწაზე აშენებული ციხე-სიმაგრე მოზდოკი, რომელსაც ყაბარდოელები მუდმივად თავს ესხმოდნენ. სწორედ აქ, მოზდოკში, 1774 წელს რამდენიმე ოსმა უხუცესმა სთხოვა რუსებს, დაბლობზე მცირემიწიანობით გატანჯული ოსი გლეხებისთვის დასახლების უფლება მიეცათ და რასაკვირველია, ისინი რუსეთის ქვეშევრდომები გახდებოდნენ. მოზდოკი, დღეს რომ ჩრდილოეთ ოსეთის შემადგენლობაშია, ეს მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიულ გაზრდას უკავშირდება 1944 წელს, როცა მას სტალინის მიერ გასახლებული ყაბარდოელების, ჩეჩნებისა და ინგუშების მიწები გადაეცა. მოზდოკი კი სტავროპოლის მხარეს ეკუთვნოდა მანამდე. დღესაც მოზდოკში ოსები მოსახლეობის 10%-ზე ნაკლებს შეადგენენ.

როცა 1785 წელს რუსეთმა კავკასიის გუბერნია შექმნა, ოსეთის ტერიტორია მაშინაც არ შედიოდა რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე.

საქართველოსკენ მიმავალი გზის გასაკონტროლებლად რუსებმა 1784 წელს ვლადიკავკაზი დააარსეს, ოსებითა და ინგუშებით დასახლებულ მიწებს შორის. 1783 წელს გეორგიევსკის ხელშეკრულება გაფორმდა ქართლ-კახეთსა და რუსეთს შორის, რომლის სრული უგულებელყოფაც იყო 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და აღმოსავლეთ საქართველოს ანექსია.

ПЯДЫШЕВ-ის „ГЕОГРАФИЧЕСКИЙ АТЛАС РОССИЙСКОЙ ИМПЕРИИ, ЦАРСТВА ПОЛЬСКОГО И ВЕЛИКОГО КНЯЖЕСТВА ФИНЛЯДСКОГО“. 1825 წელს გამოცემული, კარგად ჩანს, რომ საქართველოსა და რუსეთს თხელი ზოლი აკავშირებს ვლადიკავკაზის გავლით.

ეს ტერიტორია კი, რომელსაც რუსები სამხრეთ ოსეთს უწოდებენ, მხოლოდ ქართლ-კახეთის ე.წ. შეერთების შემდეგ შევიდა რუსეთის იმპერიაში, მთიანი ნაწილი ნომინალურად, რადგან რუსები მას ვერ აკონტროლებდნენ. ქართლის ოსებმა, რომლებიც თავს თავისუფალ გლეხებად მიიჩნევდნენ, რუსებს აჯანყებაც მოუწყვეს 1830 წელს ჯავის რაიონში, ქიშელთას ხეობაში. ამ ტერიტორიის უკეთ სამართავად 1840-50-იან წლებში არსებობდა ოსეთის ოკრუგი – პირველი ადმინისტრაციული ერთეული ოსეთის სახელით კავკასიონის სამხრეთით, რომელიც ბოლშევიკების მიერ შექმნილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის მეხუთედი თუ იქნებოდა.

ნათქვამიდან ცხადად ჩანს, რომ პუტინმა არათუ საქართველოს ისტორია არ იცის, არამედ მის იმპერიაში შემავალი ოსეთის ისტორიაზეც არა აქვს წარმოდგენა.

იხ. 8 გვ.

რის გამო შეიძლება ბიზნესმენი ციხეში ჩასვან?

ცნობილია, რომ ევროპის ქვეყნებში მოქმედებს საკმაოდ ლიბერალური კანონმდებლობა, ხოლო ბიზნესისადმი დამოკიდებულება რბილი და ლოიალურია.

თუმცა, კარგად რომ დაუკვირდეთ, აღმოჩნდება, რომ ზოგჯერ იქაც კი მეწარმე შესაძლოა, მოხვდეს ციხეში – ეს არაა ხშირი მოვლენა, თუმცა ასეთ ფაქტებს ნამდვილად აქვს ადგილი.

ევროპაში ეკონომიკური და ფინანსური დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის შერბილების და შესაბამისი კანონმდებლობის ლიბერალიზება 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო. 20 წლის მანძილზე ამ ზომებმა საგრძნობი შედეგები მოიტანა. ხელისუფლებების მხრიდან ასეთი პოლიტიკის წარმოების მთავარი მოტივი გახდა აშკარა კავშირი ცალკეული მსხვილი მეწარმეების სისხლის სამართლის დევნას და ეკონომიკური ზრდის შეფერხებას შორის, რაც უფრო მეტი ბიზნესმენი აღმოჩნდებოდა ციხეში, მით უფრო მეტად არასტაბილური იყო ბაზარი.

თანაც გამოძიებები ეკონომიკურ დარგში ითხოვს ბევრ დროს და რესურსებს, რადგანაც ასეთ საქმეებში ძალიან ძნელია კონკრეტული დამნაშავე პირების გამოვლენა.

არსებული პრობლემის პრინციპული გადაწყვეტა გახდა მოლაპარაკებების და არასასამართლო დარეგულირების პრაქტიკის შემოღება – ბიზნესმენი აღიარებს დანაშაულს, თანხმდება გარკვეული კომპენსაციის გადახდაზე და რჩება გარეთ. საბოლოოდ, ამ შეთანხმებას ამტკიცებს სასამართლო.

ასეთი პრაქტიკა ფართოდ გამოიყენება ბრიტანეთში, შვეიცარიაში, იტალიაში, ნორვეგიაში.

ასევე ევროპაში გავრცელებულია ეკონომიკურ და ფინანსურ დანაშაულზე ადმინისტრაციული და კორპორაციული სასჯელები – აუცილებელი საზოგადოებრივი სამუშაო, სამეწარმეო საქმიანობის გაგრძელების აკრძალვა, ფულადი ჯარიმები და ა.შ.

რაც შეეხება ბიზნესმენების წინასწარ პატიმრობას, ეს ზომა გამოიყენება ძალიან იშვიათად, და ისიც მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში – თუ არსებობს ეჭვმიტანილის მიერ სხვა დანაშაულის ჩადენის, მიმალვის, მტკიცებულებათა გაყალბების და გამოძიებისთვის ხელის შეშლის მაღალი ალბათობა.

ასეთი შეზღუდვების შედეგად, ეკონომიკური დანაშაულის გამო წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბიზნესმენების რაოდენობა ევროპაში ძალზე მცირეა – მაგალითად ფინეთში – 114 ადამიანი (პატიმრების საერთო რაოდენობა 2800 ადამიანი, მოსახლეობა – 5,5 მლნ.), ჰოლანდიაში 218 (10500 პატიმარი, 17 მლნ. მოსახლეობა), ბრიტანეთში 1565 (92 000 პატიმარი, 66 მლნ. მოსახლეობა), თურქეთში 3710 (233 000 პატიმარი, 80 მლნ. მოსახლეობა).

საფრანგეთში წინასწარი პატიმრობა თითქმის არ გამოიყენება ეკონომიკური დანაშაულის და საგადასახადო თაღლითობის საქმეებში და უფრო მიღებულია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს კორუფციას, საბაჟო დანაშაულს, და კორპორატიული აქტივების ბოროტად გამოყენებას. მთლიანობაში, ქვეყანაში ეკონომიკური დანაშაულის გამო წინასწარ პატიმრობის გამოყენების შემთხვევების 60% მოდის ფულის გათეთრებაზე, რომელიც საფრანგეთში ითვლება ძალიან მძიმე დანაშაულად.

ბრიტანეთში ხშირად გამოიყენება სასამართლო დევნის გადავადების შეთანხება, რომელიც ეხება კომპანიების საქმიანობასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ და ფინანსურ დანაშაულს. ამ პრაქტიკის თანახმად, კომპანია, რომელიც ეჭვმიტანილია ეკონომიკური დანაშაულის ჩადენაში, თანხმდება რამდენიმე პირობაზე, ხოლო ბრალდება აძლევს მას დარღვევების აღმოფხვრის საშუალებას.

ყველა ამ ზომების შედეგად, ევროპამ მიიღო შესაბამისი შედეგი – ეკონომიკური დანაშაულისთვის მსჯავრდებულები წარმოადგენენ პატიმრების მთლიანი რაოდენობის ძალიან მცირე ნაწილს. რეკორდსმენი ამ მხრივ არის საფრანგეთი – ქვეყნის იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, გამოტანილ განაჩენთა მხოლოდ 1% არის დაკავშირებული სამეწარმეო საქმიანობასთან.

თუმცა, საგულისხმოა ისიც, რომ ბრალეულობის დამტკიცების და დანაშაულის სიმძიმის შემთხვევაში, სასჯელი საკმაოდ სერიოზულია – ევროკავშირში ასეთ ტიპის დანაშაულისთვის სასჯელის ვადა 10-14 წელს აღწევს.

RBC

ვანო ჩხარტიშვილი: მამუკა ხაზარაძე ცრუპენტელაა!

ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის განცხადებებს ეხმაურება და აცხადებს, რომ ხაზარაძე საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობს.

„ახალი პარტიის დამფუძნებელი თავის პირველ სატელევიზიო გამოსვლაში, სამოქმედო პროგრამის ნაცვლად, 30 წუთი ჩემთან დავაზე რომ იჭორავებს, ეს უკვე სერიოზული პრობლემაა, არანაკლები ვიდრე ის ტყუილები, რომლითაც იგი საზოგადოების შეცდომაში შეყვანას შეეცადა.

სააკაშვილთან ალიანსში ბიზნესმენთა დარეკეტებაში მონაწილეობა არ თეთრდება და ვერც ურცხვი ტყუილით გადაიფარება, როგორც ეს წუხელ სცადა ხაზარაძემ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ რეალურად რასთან გვაქვს საქმე და რამდენად იმსახურებს ახალგამომცხვარი პარტიის ცრუპენტელა ლიდერი ნდობას.

ხაზარაძესთან ჩემი სასამართლო დავა ეხებოდა სააკაშვილის რეჟიმის დროს ჩემთვის ფოთის წისქვილკომბინატის და მასთან მიბმული ნავმისადგომების საქმეს, რომლებიც მაშინდელმა ხელისუფლებამ სწორედ მამუკა ხაზარაძის „თიბისი ბანკის“ მეშვეობით უკანონოდ წამართვა. რაც მთავარია, ეს რეკეტი ბანკმა ხელისუფლებასთან შეთანხმებით ჩემი ლონდონში დევნილობის დაწყებიდან მეორე დღესვე დაიწყო. ორივე ეს დავა ერთ მოსამართლესთან იმ უბრალო მიზეზით მოხვდა, რომ დავა ერთ საქმეს ეხებოდა. მე ხაზარაძეს სამართლიანად მოვუგე ორი ინსტანციის სასამართლო, მაგრამ პროცესი შეეწყვიტე იმიტომ, რომ საკითხი ორ სუბიექტს შორის დავაზე უფრო დიდი აღმოჩნდა და შეეხო უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობისა და ქვეყნის საფინანსო სტაბილურობის განმსაზღვრელი ინსტიტუტისადმი ნდობის სახელმწიფოებრივ თემებს.

ბატონი ბიძინას ამ საქმეში ჩართვა ზემოდასახელებული სახელმწიფოებრივი ინტერესებით იყო გამოწვეული და არა საქმის გარჩევის სურვილით, როგორადაც სურს, ხაზარაძეს საქმე წარმოაჩინოს. გაუგებარია მისი ნარატივები იგივე საკონსტიტუციო სასამართლოს თემაზეც, მე არაფერში მჭირდებოდა მათი რამენაირი გადაწყვეტილება, რადგან ვერ შემზღუდავდა მოქმედებებში. ისევ მე დავთმე და მოგებული საქმე გამოვიტანე სასამართლოდან. არც ვნანობ, რადგან მიუხედავად სამართლიანობისა, დავის გაგრძელება მნიშვნელოვნად დააზიანებდა ბიზნეს გარემოს საქართველოში და გახდებოდა ბიზნესში არასასურველი პროცესების მაპროვოცირებელი. ჩემთვის მთავარი იყო, დამემტკიცებინა ჩემი სიმართლე, რაც გავაკეთე კიდეც. მისმა ბანკმა უშუალოდ მისი მონაწილეობით 17 საათზე სრულიად უსაფუძვლოდ მიითვისა ჩემი ქონებები და 5 წუთში სხვა პირზე გადაყიდა, რათა „პატიოსანი მყიდველის“ შემოყვანით მითვისებული ქონება გადაემალა. ეს დოკუმენტურად დადასტურდა სასამართლოზე. და კიდევ, დავა ეხებოდა 18 მილიონს და არა 30-ს, როგორც ამას ხაზარაძე ამბობს.

იგი დღეს ცდილობს, კოლეგა ბიზნესმენების ძარცვაში მონაწილეობის თემა გაუკულმართებული მოდელირებითა და ტყუილებით დაგვავიწყოს. არ გამოვა, რადგან ასეთი საქმეები მის წარსულში უამრავია. გახმაურებულებიდან საკმარისია, დავასახელოთ „ელიტელექტრონიქსი“, მიტაცებული ლისის ტბა, ფოთის წისქვილკომბინატი და ნავმისადგომები, სხვა არაერთი „ქეისი“, რომელშიც იგი ბიზნესის ჯალათის როლში მოგვევლინა.

ხაზარაძე დღეს მომავლის საშვის აღებას წარსულის გადაწერით ცდილობს. ამაოდ, რადგან საზოგადოებას კარგად ახსოვს, როცა სააკაშვილის რეჟიმი ქართულ ბიზნესს ტოტალურად ატერორებდა და დევნიდა, ის მათთან ერთად იყო და ჩვენი ქონებების მიტაცებით მდიდრდებოდა. უფრო მეტიც, ამ მიმართულებით გამოჩენილი განსაკუთრებული დამსახურებისთვის იგი სააკაშვილმა 2007 წელს ღირსების ორდენითაც კი დააჯილდოვა. სხვისი ქონებების მითვისებაში გასვრილი ხელებით ნათელ მომავალს ვერ ააშენებ, მით უფრო, ვერ უწინამძღვრებ. ჩვენ მზად ვართ, დაინტერესებულ პირებს მივაწოდოთ მასალები ამ დავის დეტალებზე“...

კახა კალაძე: უკეთესი იქნება, მამუკა ხაზარაძემ ჭორაობას თავი დაანებოს

ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა, საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელოს“ დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის განცხადებასთან დაკავშირებით, სადაც ხაზარაძე ბიძინა ივანიშვილთან და ვანო ჩხარტიშვილთან შეხვედრაზე საუბრობდა.

კალაძე აღნიშნულ განცხადებას ჭორაობას უწოდებს.

„მე ჭორაობას დავარქმევდი ამას და ასე შევაფასებდი. თუ მსგავსი რამ იყო, გამოსულიყო და ეთქვა მაშინ, რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს ისტორია მოხდა. უკეთესი იქნება, ხაზარაძემ ჭორაობას თავი დაანებოს“.

ივანე მაჭავარიანი: ასეთი თავისუფალი ბიზნესგარემო არასდროს ყოფილა!

საქართველოში ვცხოვრობ ბოლო 45 წელიწადია, აქედან 20 წელზე მეტი ვარ ბიზნესში, ერთი წელი ვარ საჯარო სამსახურში და ერთ რამეს ვამბობ სრული პასუხისმგებლობით, ასეთი თავისუფალი ბიზნესგარემო არ ყოფილა, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა მოძრაობა „ლელოს“ ლიდერის მამუკა ხაზარაძის გუშინდელი განცხადებების კომენტირებისას განუცხადა.

მისი თქმით, თუ ვინმეს აქვს პრეტენზიები, კონკრეტული ფაქტები უნდა დადონ და დაასაბუთონ.

ეთნოლოგი, კულტუროლოგი, პუბლიცისტი...

(პირველი გვერდიდან)

ქართული ეთნოლოგიური სკოლის გამოჩენილ წარმომადგენელს ელდარ ნადირაძეს 70 წელი შეუსრულდა.

ამ თარიღით ჩვენ შევეცდებით, მოკლედ შევაჯამოთ მისი სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობის განვლილი პერიოდი, რომელმაც ჩამოაყალიბა იგი როგორც მეცნიერი და როგორც მოღვაწე.

ელდარ ნადირაძე წარმოგვიდგება მეცნიერად, რომელმაც სახელოვნად გაიარა აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაარსებული ქართული ეთნოლოგიური სკოლის გზა. მისი ინტერესის უმთავრეს სფეროს შეადგენდა და შეადგენს ქართული ეთნოკულტურის სამსახური, ამ მემკვიდრეობის კვლევა, პოპულარიზაცია და გამომზეურება წვლილისა, რომელიც ჩვენ ხალხს შეუტანია მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში.

ელდარ ნადირაძე დაიბადა 1949 წლის 15 სექტემბერს, საჩხერის რაიონის სოფ. ჭორვილაში, 1966 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. ეს იყო დრო, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტს ხელმძღვანელობდა და ამავე დროს, შუაფეოდალურ ხანის საქართველოს ისტორიის კურსს კითხულობდა აკადემიკოსი შოთა მესხია, ეთნოლოგიაში ლექციები მიჰყავდა აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას, ხელოვნების ისტორიაში – აკადემიკოს შალვა ამირანაშვილს, არქეოლოგიაში – აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძეს...

უნივერსიტეტის რექტორი იყო აკადემიკოსი ილია ვეკუა, ხოლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესს განაგებდა პროფესორი გურამ ჭილაშვილი. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის ცხოვრებაში ეს იყო ერთ-ერთი გამორჩეული პერიოდი პედაგოგიური პერსონალის – მისი პროფესურის მაღალკვალიფიციურობის, სასწავლო პროცესის აკადემიურობითა და საველე-საექსპედიციო პრაქტიკის მობილურობის თვალსაზრისით.

ეთნოგრაფიის კათედრის გამგის გიორგი ჩიტაიას რჩევით ელდარ ნადირაძემ პროფესიად აირჩია ეთნოლოგია, გაიარა თავისი მასწავლებლის სასემინარო პრაქტიკა, რომლის სასწავლო პროცესს, თავის მეუღლესათან ერთად, მკაცრად აკონტროლებდა ქართული ეთნოლოგიური სკოლის ერთ-ერთი მესაძირკვლე ქალბატონი ვერა ბარდაველიძე.

1974 წელს, აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ეთნოგრაფიის განყოფილების მაშინდელი გამგის, გამოჩენილი ეთნოლოგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ბატონი გიორგი ჯალაბაძის მიწვევით ელდარ ნადირაძემ მუშაობა დაიწყო ამავე განყოფილებაში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. მან გაიარა სამუზეუმო საქმის ყველა ეტაპი, ნივთიერი მასალის დაცვა-აღრიცხვის, დაუნჯება-შენახვისა და მეცნიერული გამოკვლევის თვალსაზრისით. როგორც განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა პირველ ეთნოლოგიურ ექსპედიციებში, რომელსაც მოჰყვა პირველი სამეცნიერო ნაშრომები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით გამოცემულ ისეთ კრებულებში, როგორებიცაა: „ში-და ქართლი“, „ქვემო ქართლი“ და „ლეჩხუმი“.

აღსანიშნავია, რომ 70-იანი წლებიდან მოკიდებული ელდარ ნადირაძემ არქეოლოგიური გათხრების დიდი სკოლა გაიარა ჯერ აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის მიერ დაარსებულ მოდინახის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, ხოლო შემდგომ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ჯურხა ნადირაძის ხელმძღვანელობით მოდინახის, საირხის, ჯიეთის (წინსოფელი), სვერის და მცხეთიჯვრის ძეგლების არქეოლოგიურ სამუშაოებში.

1987 წელს ელდარ ნადირაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელშიც ფართოდ წარმოაჩინა დასავლურ-ქართული ქვითხუროობის განვითარების ეთნოგრაფიული ტენდენციები, ნაშრომის რეცენზენტის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ნოე აფხაზავას შეფასებით **„ამ ნაშრომში კარგად ჩანს ქართული საამშენებლო ხელოვნების შორეული ფესვები, რომელშიაც რელიეფურად მოსჩანს ტრადიციაც, სიახლეცა და მოდაც, ურომლისოდაც არ განვითარებულა არც ერთი ხალხის კულტურა. კვლევის ამ სფეროში მას თითქმის არა ჰყავს წინამორბედი. ელდარ ნადირაძის გამოკვლევა ემსახურება ჩვენი სულიერი საწყისებისა და ჩვენი სულიერი მთლიანობის შენარჩუნებას“.**

1998 წელს ელდარ ნადირაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელშიც პირველად იქნა მონოგრაფიულად შესწავლილი საქართველოს მემორიალური კულტურა, ეს ნაშრომი მაღალმეცნიერულ დონეზე შეაფასეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებმა: ირაკლი სურგულაძემ, იოსებ ჭანტურიშვილმა და როლანდ თოფჩიშვილმა. ირაკლი სურგულაძის აზრით: **„საქართველოს მემორიალური კულტურის“ შესწავლით, ელდარ ნადირაძემ საბოლოოდ განსაზღვრა მათი დიდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ღირებულება და მიუჩინა კუთვნილი ადგილი ქართული ქრისტიანული კულტურის კვლევის სფეროში. ე. ნადირაძეს მშვენივრად მოეხსენება როგორ წარმართოს პრაქტიკული ოპერაცია, მაგრამ მხოლოდ გამოცდილების ხარჯზე ასეთი აზრი არ გამოითქმის. ელდარ ნადირაძე წარმოგვიდგება იმ მეცნიერად, რომელსაც შესანიშნავად ესმის კულტურის, ანუ „არაბუნების“ მექანიზმი ზოგადად და წარმატებით იყენებს ამას თავის კვლევაში. კულტურის მექანიზმის კვლევა მისი სპეციალობაა და საამისოდ შესაბამისი ნიჭიერებაც გააჩნია. ასე მხოლოდ ძალზე ნიჭიერი ადამიანები ფიქრობენ“.**

ელდარ ნადირაძის სახელს უკავშირდება სამხრეთ საქართველოში გავრცელებული ზოომორფული ძეგლების ქართულ სინამდვილეში დაბრუნების პრობლემის გადაჭრა. ესაა პრინციპული საკითხი, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული სამხრეთ და სამხრეთ დასავლეთ საქართველოში ისტორიულად მიმდინარე ეთნიკური პროცესების ტენდენციურ გაშუქებასთან, რომლის ერთ-ერთ საბუთად გამოყენებულია მემორიალური კულტურის ეს იშვიათი ეგზემპლარები, როგორც თურქმანული მოდგმის ტომთა კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი. ელდარ ნადირაძემ სკრუპულოზურ მეცნიერულ გამოკვლევასთან ერთად შექმნა ამ ძეგლების კატალოგი და მყარად დაასაბუთა ამ ძეგლთა ქართულ საყოფაცხოვრებო სფეროსთვის კუთვნილების საკითხი.

ქართული სამეურნეო კულტურის ისტორიას მიეძღვნა მისი მონოგრაფია „ქართული ლუდი“. ესაა გამოკვლევა ლუდის წარმოშობის სათავეებისა და მისი გავრცელების გზების შესახებ საქართველოში, სადაც ფართოდაა განხილული ამ სამეურნეო კულტურის ტრადიციული და რელიგიური საფუძვლები. ავტორი, ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის შესწავლით გამოკვეთს და მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ქართული ლუდის წარმოების სისტემა გამოირჩევა არქაულობით და ლოგიკურად ექცევა იმ ისტორიულ-კულტურულ წრეში, რომელშიც შედიან მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მელუდენი. გამოკვლევამ, რომელიც გამოცემულია ინგლისური ვერსიითაც, ავტორს საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

პირველად ჩვენს მეცნიერებაში ელდარ ნადირაძემ წამოჭრა და შეასრულა ნაშრომი (თ. ნადირაძესთან ერთად) გარეჯის სამონასტრო ცენტრების სოციალური და მატერიალური კულტურის მონოგრაფიული გამოკვლევის შესახებ. ესაა საკითხთა წრე, რომელიც ეხება სამონასტრო ცხოვრებაში კოლექტიურობის პრობლემას, შრომისადმი დამოკიდებულებას, კონტაქტებს სამოქალაქო საზოგადოებასთან, საყოფაცხოვრებო ურთიერთობის სფეროს (საცხოვრისი, სამოსი, კვების კულტურა, ჰიგიენა, სამეურნეო და სახელოსნო საქმიანობა და სხვ.). კვლევის ამ ბაზაზე შეიქმნა მონოგრაფია „უდაბნო საღვთოდ შემოკრებულთა“.

ელდარ ნადირაძის სამეცნიერო მოღვაწეობაში საეტაპო ნაშრომს წარმოადგენს „ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონის“ პროექტი და მისი განხორციელება სამეცნიერო ხელმძღვანელის რანგში. ესაა უმნიშვნელოვანესი ნოვაცია ქართველოლოგიის დარგში. ლექსიკონში წარმოდგენილია საგნობრივი ტერმინოლოგია, რომელიც მოიცავს სოციალური ყოფის თითქმის ყველა სფეროს. ნაშრომში თავმოყრილი მასალა, მისი გაცნობა და გაანალიზება, მთელი სისავსით წარმოაჩენს სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა მრავალმხრივობას, მის მნიშვნელობას და მიუთითებს წვლილზე, რომელიც ქართველ ხალხს აქვს შეტანილი მსოფლიოს ხალხთა ეთნოკულტურის საგანძურში. ნაშრომის რეცენზენტის ცნობილი ეთნოლოგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის თამილა ცაგარეიშვილის შეფასებით „ელდარ ნადირაძემ თავისი ნიჭით, შრომისმოყვარეობითა და კაცურკაცობით დიდი დაფასება მოიპოვა, იგი მრავალი აღიარებული ნაშრომის ავტორია, მაგრამ ეთნოგრაფიული ლექსიკონის იდეის განხორციელება, მისი შემოქმედების მწვერვალია. „ამ ლექსიკონის შექმნით საშვილიშვილო საქმე გაკეთდა, ქართული ეთნოლოგიის საძირკველში ერთი აგური ჩაიდო“.

ქართული ეთნოკულტურის პოპულარიზაციის თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ეთნოგრაფიული ლექსიკონის ინგლისურენოვანი ვარიანტის გამოცემა, რომლის ქართული ვერსია უშუალოდ ელდარ ნადირაძის მიერ იქნა შესრულებული. ლექსიკონის ეგზემპლარები დაურიგდა საზღვარგარეთის არაერთ საუნივერსიტეტო ცენტრებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს, რასაც უცხოელი კოლეგებისაგან მაღალი შეფასებები მოჰყვა.

ელდარ ნადირაძის პიროვნების სურათი, მისი ცხოვრების ინტიმური გარემო, ახლობელთა და მეგობართა წრე, მისი აზროვნების მასაზრდოებელი წყარო შესანიშნავადაა გადმოცემული მის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ წიგნში „სინათლე – ყველაზე დიდი სასწაული“. ესაა დიდი ემოციებით დატვირთული ნაშრომი, მწერლური ნიჭერებით გადმოცემული ნოველის, ესსეს, მოთხრობისა თუ მოგონების ჟანრით დაწერილი, სავსე სევდით, იუმორით და სიყვარულით. ესაა გახსენება იმ ადამიანებისა, რომელთაც ავტორი შეხვედრია ცხოვრების გზაზე, ზოგს როგორც მოღვაწესა და მასწავლებელს, ზოგსაც კი, როგორც ახლობელსა და მეგობარს: კოლაუ ნადირაძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, გივი ძნელაძე, რეზო თაბუკაშვილი, ანზორ კავსაძე, მურაზ მურვანიძე,როინ მეტრეველი, ოთარ ლორთქიფანიძე, ალექსი რობაქიძე, კოტე ჩოლოყაშვილი, შოთა ლომსაძე, ლევან ცუცქირიძე, ლევან სანიკიძე,ზურაბ ქაფიანიძე, თამაზ ტყემალაძე, ვალერი ასათიანი და საგანგებოდ აღსანიშნავი უნაზესი სითბოთი და ტკივილით დაწერილი წერილი უფროს ძმაზე ჯურხა ნადირაძეზე.

პოეტ ტარიელ ჭანტურიას ელდარ ნადირაძის ერთ-ერთ- პუბლიცისტურ თემებზე დაწერილი წიგნის – „საქართველო ასი კაცის ქვეყანა“ შესახებ ნათქვამი აქვს: **„თუ არ მეშლება, მეექვსეა ეს წიგნი, ელდარ ნადირაძისაგან რომ მივიღე საჩუქრად – შესანიშნავი მეცნიერი-ისტორიკოსისგან, ღირსეული საზოგადო მოღვაწისგან. ისე კარგადაა წიგნში დახასიათებული ეს ასი კაცის ქვეყანა – ჩვენი სამშობლო, ასე მგონია, შენს გულში იჯდა ავტორი და შენი ფიქრი გადაჰქონდა ქაღალდზე! ამ აზრის ნათელ დადასტურებად მივიჩნევ ელდარ ნადირაძის მიერ ბავშვებისათვის საქართველოს ისტორიაზე დაწერილ შესანიშნავ წიგნს, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა მისმა რედაქტორმა, აკადემიკოსმა მარიკა ლორთქიფანიძემ („დიდ საქმეთა პატარა ამბები“) ასეთივე აზრისაა ცნობილი პუბლიცისტი ივანე ამირხანაშვილი, რომელსაც ელდარ ნადირაძის წიგნის – „გრძნობა შენი მოვლისა“** – რეცენზიაში ნათქვამი აქვს: **„ელდარ ნადირაძე ესაა თვითმყმარი ენერგიით შექმნილი ავტორიტეტი,რომლის მთავარი მახასიათებელია სიტყვა.., იგი განეკუთვნება სწავლულთა იმ ტიპს, რომელსაც ლინგვისტური ალღო ბუნებისაგან უშურველად აქვს ნაბოძები, სიტყვა მოსდევს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კარგად წერს“.**

განსაკუთრებულია ელდარ ნადირაძის ღვაწლი საქართველოს სამუზეუმო საქმის განვითარებაში. იგი ოთხ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში იკვლევდა და იკვლევს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ, როგორც საქართველოს, ასევე აზერბაიჯანის, სომხეთისა და ირანის კულტურულ მემკვიდრეობას ჯერ როგორც მეცნიერ- თანამშრომელი, ხოლო შემდეგ, როგორც განყოფილების გამგე, მთავარი მცველი და ამჟამად, როგორც ეროვნულ მუზეუმთან არსებული ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერი-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი. სხვათა შორის, აზერბაიჯანთან კულტურული კავშირების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ელდარ ნადირაძის ორი ნაშრომის „აზერბაიჯანული ხალიჩები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში“ და „ერევნის სახანოს“ წარდგინება აზერბაიჯანელი და ქართველი საზოგადოების წინაშე, პირველის – 2014 წელს ბაქოში ხალიჩების მუზეუმში, ხოლო მეორის – 2019 წლის 28 მაისს, ასევე ბაქოში, გეიდარ ალიევის სახელობის კოლტურის ფონდში გამართულ პრეზენტაციაზე, რომელსაც უმაღლესი შეფასება ერგო წილად.

ელდარ ნადირაძე ქართული ეთნოკულტურის სფეროში წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის დაკვეთით შესრულებული აქვს სამ ათეულზე მეტი საავტორო გადაცემა, ხოლო ქართულ პრესაში გამოქვეყნებული, ნათელი სტილით დაწერილი ესეებითა და პოლემიკური წერილებით სამართლიანად დაიმკვიდრა ნიჭიერი პუბლიცისტის სახელი.

1999 წელს ელდარ ნადირაძე აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად პოლიტიკური პარტია „აღორძინების“ შემადგენლობაში და მოღვაწეობდა ფრაქცია „XXI საუკუნეში“, ვახტანგ ბოჭორიშვილის, მუხრან მაჭავარიანის, რევაზ მიშველაძის, ელიზბარ ჯაველიძის, ზურაბ ქაფიანიძის და სხვათა გვერდით.

ელდარ ნადირაძე არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებული ეროვნული ინტერესების დაცვის კომისიის წევრი, რომელიც მოქმედებს აკადემიის პრეზიდენტის, ბატონი გიორგი კვესიტაძის, ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს როინ მეტრეველისა და აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის ხელმძღვანელობით.

ელდარ ნადირაძე არის: საჩხერის საპატიო მოქალაქე, ილია ჭავჭავაძის ფონდის „საგურამოს“ პრემიის ლაურეატი (მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის), ღირსების მედლის კავალერი, „კავკაზ-მედიის“ ლაურეატი „ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული კავშირების განმტკიცებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“, აქვს საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ დაარსებული „ღირსების რაინდის“ საპატიო წოდება.

ვისაც ელდარ ნადირაძესთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონია. ხშირად გაიგებდა მისგან ერთ გამორჩეულ აზრს, რომელიც სამშობლოს მიმართ მისი დამოკიდებულების კვინტესენციას წარმოადგენს: ადამიანის თვისებაა შეცდომის დაშვება და ეპატიება კიდეც, მაგრამ არსებობს ერთი გამონაკლისი: არავის არა აქვს უფლება შეცდომა დაუშვას იქ, სადაც საქმე ქვეყნის ინტერესებს ეხება.

ეს თემები პუბლიცისტური სიმწვავითაა გაშლილი მის პირუთვნელ წიგნებში: „საქართველო ასი კაცის ქვეყანა“ „გრძნობა შენი მოვლისა“, „აკაკი გვიცოცხლოს უფალმა“ , „ვინ არიან და რა სურთ იეღოველებს“, „გათენება – ყველაზე დიდი სასწაული“ და სხვა. ეჭვმიუტანლად უნდა ითქვას, რომ ელდარ ნადირაძემ მთელი თავისი ცხოვრება ამ ნიშნით, ამ დევიზის დაცვით გაატარა.

მაძვს თანხმობა, განვაცხადო, რომ საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია პრეზიდენტ **გიორგი კვესიტაძის,** ვიცე-პრეზიდენტ **როინ მეტრეველისა** და აკადემიის აკადემიკოს-მდივნის **რამაზ ხუროძის** სახელით, ულოცავენ გამოჩენილ ეთნოლოგს, საქართველოს, სამხრეთ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ეთნოკულტურის შესანიშნავ მკვლევარს, ბატონ ელდარ ნადირაძეს 70 წლის იუბილეს, უსურვებენ დიდხანს სიცოცხლესა და კვლავ და კვლავ შემოქმედებით სიმაღლეზე ყოფნას

ლია მელიქიშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი



მართლაც კარგი წიგნები მართლაც კარგი კაცებივით ცოტაა

გენიოსების მემუარები ეპოქის სახეს არ ქმნიან!
სტ. ეჟი ლეცი

თუმცა აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ ყველა კარგ კაცს არ შეუძლია კარგი წიგნის დაწერა, როგორც არაკარგმა კაცმა შეუძლებელია კარგი წიგნი დაწეროს. კარგ წიგნში კი უწინარესად ვგულისხმობ ისეთ მემუარულ წიგნს, რომელიც დროს, ცხოვრებას და ადამიანებს პირუთვნელად ასახავს, მიუკერძოებელია და მომავალ თაობებს სარკისებრ დაანახვებს თავიანთ წარსულს, სადაც სულ სხვა დროში ცხოვრობდნენ სულ სხვა ადამიანები, რომელთაც შექმნეს ის მომავალი და თუ არა ისინი, კაცთა მოდგმის თაობათა მარადიული კავშირი საბედისწეროდ დაირღვეოდა.

არც მწერლის, არც ლიტერატორის და, საერთოდ, არც ფილოლოგის, ძველი მშენებლისა და ეკონომისტის ახლა უკვე მეღვინეობაში „გადახვეწილი“ ომარ მარგველაშვილის ახლახან გამოსული მემუარული წიგნის კითხვა რომ დავამთავრე, ჩემდა უნებურად ზემომოყვანილი აბზაცის სტრიქონები დამაწერინა. მართალი გითხრათ, ჩემთვის ერთგვარად მოულოდნელიც კი გამოდგა ამ წიგნის (**„როცა უკან მოხედვის არ გეშინია!**) ლიტერატურული ხარისხი, რადგან დროდადრო ომარის პუბლიცისტურ, პოლიტიკურად მწვავე წერილებს კი ვკითხულობდი, მაგრამ ლიტერატურაში ჩახედულთ კარგად მოეხსენებათ, რომ წიგნის დაწერა და თანაც ისეთის, რომელიც თავისი ჭრელი დრო-ჟამის უტყუარ საბუთად აღიქმება, სულ სხვა რამ არის, სულ სხვა მახვილ თვალსა და აღვირამოდებულ კალამს მოითხოვს.

ეს წიგნი ფენომენალური მეხსიერებისა და წარმოსახვის წყალობით არის დაწერილი და ერთადერთ მიზნად ისახავს, რომ „მკითხველისთვის **ცხადი გახადოს „ავადმოსაგონარი“ ჟამის მეტ-ნაკლებად ადამიანური სახე.** თუ არა მთელი ცხოვრების მანძილზე ყოველდღიური ჩანაწერები, რომელთა ლოგიკური თავმოყრითაც ხდება შემდეგ ერთ წიგნად შედეგება, სხვაგვარად შეუძლებელია ერთი დაჯდომითა და შუბლზე ხელის მიდებით ესოდენ დროისმომცველი ფართო პანორამის შექმნა. აკი თავად ავტორიც ამბობს წიგნის ბოლოთქმაში, **ნელა ვჩქარობდიო. „ურთულესი საუკუნის ერთი ადამიანის მეხსიერებაში არეკლილი ცხოვრების შუქ-ჩრდილებით მოხატული ქრონიკაა ამ წიგნის ლაიტმოტივი, არსიცა და მიზანიცო“...**

უთუოდ მართალია ჩემი მეგობარი **დავით მხეიძე,** თვალმახვილი პუბლიცისტი, ამ წიგნის წაკითხვამდე რომ უფიქრია, ეს წიგნიც იმათ რიგს ხომ არ შეემატება, რომელთა მსგავსი მრავლად მომეპოვება ჩემს ბიბლიოთეკაშიო, რადგან დღეს, ვისაც არ ეზარება, ყველა მემუარულ ჟანრს **„აწვება“,** მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა რაიმე მართლა მოსაგონარი (ბევრი აკი მართლაც თვითონვე იგონებს თავის მოგონებებს.)

თუ მემუარულ ლიტერატურას ცხოვრებაზე ან ადამიანებზე, საერთოდ, თავიანთ ბედ-იღბალზე გაბრაზებული ადამიანები ქმნიან, რასაკვირველია, ისინი საშინლად მიკერძოებულნი არიან და არც ერთ იმათ სიტყვას, მით უმეტეს, აზრს არ დაეჯერება. ისინი ყველაფერსა და ყველას ლაფში სვრიან, ყველაფერს აუკუღმართებენ, ოღონდ როგორმე თავი იმართლონ მომავლის წინაშე და ხშირად ანგელოზის ფრთებსაც ისხამენ.

თავში უკვე ვთქვი, აქაც გავიმეორებ, რომ ომარ მარგველაშვილის წიგნის უმთავრესი ღირსება ის არის, რომ უწინარესად მართალი წიგნია როგორც თავისი დროის, ისე იმ ადამიანების წინაშე, რომელთა გვერდითაც უხდებოდა ავტორს საზოგადოებრივად მღელვარე ცხოვრება. აქ ისიც აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ წიგნში ჩამუხტული ეპოქა ძირითადად დანახულია ამ ნაირ-ნაირი ბუნებისა და თვისება-ხასიათის ადამიანების მეოხებით, ხოლო თვითონ ეს ადამიანები ამ ეპოქის საშუალებით.

ერთ საგაზეთო წერილში ნამდვილად შეუძლებელია ამ წიგნის, თავისი არსითა და მნიშვნელობით უზარმაზარის, და არა მარტო გვერდების რაოდენობისა და დიდი ფორმატის მიხედვით, შეფასება. ამიტომ მხოლოდ იმაზე მოგვიწევს საუბარი, რაც ამ ფრიად აისბერგული პრინციპით დაწერილი წიგნის წყალზევით მოჩანს.

რაც შეეხება აისბერგის წყალქვეშა ნაწილს, ის სხვა დიდი საუბრის თემა – **ომისა და რეპრესირებულთა თაობების თემაა.** როცა ომის თაობა გულამოსკვნილი იხვეწებოდა:

„აქეთ ნუში, იქით ნუში,
შუა ფარდა ჩამოუშვი,
ძია სტალინ, გეხვეწები
მამაჩემი გამოუშვი“.

ხოლო შორეულში გადასახლებულნი ორი თვე გაუსაძლის, ჯოჯოხეთურ პირობებში, ყინვაში მგზავრობდნენ... ბადრაგი მატარებელს აჩერებდა და ხალხს აიძულებდა გზაში აუტანელი პირობების გამო გარდაცვლილები ვაგონებიდან ჩაეტანათ და თოვლში ჩაეფლათ, ვინაიდან მიწის გათხრა ყინვის გამო შეუძლებელი იყო...

ერთიცა და მეორე თემაც, განსხვავებულობისდა მიუხედავად, რა თქმა უნდა, ავადმოსაგონარია, მაგრამ ავტორი ავსა და ბოროტს სიკეთის საცერში ცრის და მთელი წიგნი ადამიანის სულიერი გამარჯვების იდეით არის გაჟღენთილი.

ნამდვილად სწორია ის აზრი, რომ ტრაგიკულის გვერდით შეფარული იუმორის, სატირის, ლირიკისა და ეპოქის სინთეზი **„ამ წიგნის თვალსაჩინო ნიუანსია და კიდევ უფრო მეტად საკითხავს ხდის, მეტ მიმზიდველობას ანიჭებს“ (გურამ ბენაშვილი).**

წიგნში 140-ზე მეტი ამბავი, ჩანახატი და ნოველაა, რომელთაც ერთი მთავარი გმირი, თვითონ ავტორი აერთიანებს და ლოგიკურად ქმნის ერთ მთლიან ნაწარმოებს, რომელსაც, ალბათ, უპრიანი იქნებოდა, თუ დოკუმენტურ რომანს ვუწოდებდით. უნდა გამოვტყდე, პერსონაჟთა თვლაც დავიწყე, მაგრამ, როგორც იტყვიან, სათვალავი ამერია. აქ ძალიან ბევრ მეოცესაუკუნის მეორე ნახევრისა და 21-ე საუკუნის პირველი ოცწლეულის ნაცნობ თუ უცნობ ადამიანს შეხვდებით, თანაც ისე ფერხორციანად, თითქოს ხელის ჩამორთმევას გიპირებდნენ.

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ამ ადამიანების გარდა, წიგნში პირუთვნელად, იქნებ რამდენადმე მიკერძოებულადაც (ისიც ფრთხილად), შეფასებულია წიგნში ასარკული დროის ყველა პოლიტიკური თუ სოციალური მოვლენა, რომელ შეფასებაშიც ჩვენი პოლიტიკურად მოწამლული საზოგადოების გარკვეული ნაწილი, ალბათ, არა მარტო არ დაეთანხმება ავტორს, არამედ, ჩვეულებისამებრ, სამშობლოს ღალატს დასწამებს და „დუელშიც გამოიწვევს“. მაგრამ ომარი ხომ ცხოვრების დარჯაკში გამოვლილი ის კაცია, რომელსაც არც უკან მოხედვის და არც წინ გახედვის ეშინია, რამეთუ უკმეხთან და კადნიერთან უკმეხი და კადნიერია, ხოლო კეთილმოსურნესთან და კეთილშობილთან – კეთილგონიერი და კეთილშობილი.

ავტორი ასევე დაუნდობელია ადამიანების შეფასებისას („ერთ **სუფრაზე ორჯერ ნაცემი მინისტრი“, „ჩაუშესკუს კოსტიუმი“, „უხეირო ხუმრობა“, „ბუტია გივი გუმბარიძე“, „შევარდნაძის საბედისწერო შეცდომა“, „ენვერ კაპბას მონანიება“, „მე, მთვარე და ღამეული ქალი“, ,,ნიაზ დიასამიძე და გრანტიკა“, ,,ედუარდ სტრელცოვი“**). როგორც უკვე ვთქვი, წიგნში უამრავი სხვადასხვაგვარი ადამიანია გამოყვანილი, ვინც კი ავტორს ცხოვრების ოღრორჩოღრო გზაზე შეხვედრია (აქ არიან თენგიზ სიგუაც, თენგიზ კიტოვანიც, ჯაბა იოსელიანიც, ედუარდ შევარდნაძე, ზურაბ პატარიძე, არიელ შარონი, ვიქტორ ადლეიბა, საკავშირო მინისტრები და სხვა მრავალი).

განა სავსებით მართალი არ არის ავტორი, როცა **მოქალაქეობრივი გაბედულებით** წერს: **„საზოგადოებაში ზვიად გამსახურდიას პიროვნების ირგვლივ დავა და კამათი დღესაც გრძელდება. სამწუხაროდ, ძალზე ტრაგიკულად დამთავრდა ამ ადამიანის მოღვაწეობა და ცხოვრება. ჩემი აზრით, ამაში არა მარტო შინაურსა და გარეშეს მიუძღვის ბრალი, არამედ ექსპრეზიდენტის პიროვნულ თვისებებსაც, ცოლის, ცოლისდისა და უახლოესი გარემოცვის აღვირახსნილ თავნებობასაც...“**

ასევე ავტორის **მოქალაქეობრივი პრინციპულობის** ნიმუშად მოვიყვან ჰალსტუხ-ჭამია ცრუ ეროვნულ ნიღაბაფარებულ, სამშობლოს გამჩანაგებელსა და უამრავი ახალგაზრდის სიცოცხლის ბოროტად და სისასტიკით მომსწრაფებელს, დამთხვეულ საკაშვილს, რომელსაც დღემდე პასუხი არ უგია ხელისუფლების უნიათობისა და უპასუხისმგებლობის გამო.

„1965 წელს გაზაფხულზე, ჯერ აღმოსავლეთ ბერლინში ჩავედით, – წერს ომარ მარგველაშვილი, – **რაც იქ ვიხილეთ, მართლაც საშინელება იყო: არა მარტო რკინიგზის სადგურის მახლობლად, არამედ მთელ ქალაქში ჯერ კიდევ მრავლად იყო ხელუხლებელი, ომის დროს დაბომბილი, დანგრეული და გაპარტახებული, ჩაშავებულ-ჩაჟამებული შენობები, როგორც იმის უტყვი გაფრთხილება, რა შეიძლება მოხდეს, როცა ქვეყნის ლიდერს უსაშველო ამბიციები გაუჩნდება და თავისი ხალხის მომავალს სასწორზე შეაგდებს.**

ამ სამწუხარო ჭეშმარიტების ნათელი მაგალითია მიხეილ სააკაშვილის დაუფიქრებელი ნაბიჯი 2008 წლის 8 აგვისტოს, რომელმაც უამრავი ნგრევა, მსხვერპლი, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები, უზარმაზარი ზარალი, ეკოლოგიური კატასტროფა, ქვეყნის ეკონომიკის მკვეთრი ვარდნა, ინვესტორების დაფრთხობა-გაქცევა, ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის დაცემა, ხალხში შიშისა და უიმედობის გაჩენა გამოიწვია და, რაც ყველაზე მთავარია, საქართველომ ტერიტორიის მეხუთედი დაკარგა.“

ავტორს ხშირად უხდება სამსახურებრივი მივლინებებით (ის ხან ამა თუ იმ ტრესტის მმართველია, ხან ამა თუ იმ მინისტრის მოადგილე) მოგზაურობა ურალსიქითა რუსეთის ოლქებსა და ქალაქებში. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აკადემიაში სწავლისას უამრავი დახურული და მკაცრად გასაიდუმლოებული ქალაქი და მიწისქვეშა გიგანტი საწარმო მოინახულა. სწორად აქ გაიცნო მან არაერთი ტიტულოვანი ქართველი მეცნიერი ზესაიდუმლო გრიფით მომუშავე, რომლებიც მთელი ცხოვრება ატომურ, ბირთვულ, სარაკეტო ტექნიკის შექმნაზე მუშაობდნენ – აკადემიკოსები **ალექსანდრე ნადირაძე, ვახტანგ ვაჩნაძე, გალაკტიონ ალფაიძე, ნიკოლოზ ესაკია,** რამდენიმე გზის ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატები, საბჭოთა კავშირის არაერთგზის გმირები. ისინი პიროვნულად არ ჩანდნენ, მკაცრად იყვნენ გასაიდუმლოებულნი, მაგრამ თავიანთი დიდი ნიჭიერებით ქვეყანას აძლიერებდნენ. უთუოდ მოსაწონია, რომ ავტორი ამ მსოფლიო მნიშვნელობის ქართველ მეცნიერთ დიდი სითბოთი და სიყვარულით გვაცნობს. არადა, საქართველოში არც ერთს თითქმის დღემდე წესიერად არ იცნობენ.

მოგეხსენებათ, ეპოქის ბეჯით მემატიანედ თავწარმოდგენილი ავტორი არც დროდადრო აჩენილ ერთგვარად დრამატულ თუ სახალისო ამბებს უვლის გვერდს (ბევრს საკუთარი თვალით ნახულს, ზოგსაც სხვათაგან გაგონილს), რადგან ეს ამბებიც რომ ცხოვრების ნაწილია, ურომლისოდაც მარტო ცალმხრივად პირქუში ხანა შეგვრჩებოდა ხელთ, რაც დაგვზაფრავდა და სუნთქვას შეგვიკრავდა.

* * *

...**მეორე** მსოფლიო ომი ახალი დამთავრებულია. ვაკეში ტრამვაის ბოლო გაჩერებასთან ორი „ბუდკაა“, ერთი ნესტორასია, მეორე – იპოლიტესი. ჩამოსასხმელი ლუდით, არყით და შავი ხიზილალით (დიახ, შავი მარცვლოვანი, ნატურალური ხიზილალით!) ვაჭრობენ. ხიზილალას კასრებიდან ხის თეთრი ქათქათა კოვზებით იღებენ და ბარაქიანად უსვამენ შავ პურზე. მავთულზე ჩამოკონწიალებულ დოშს იმდენი ქონი გასდის, რომ ქვეშ კონსერვის ქილები უდგათ და კარგა მოზრდილი ჩაკურატებული კატები სვლეპენ.

ნესტორასა და იპოლიტეს ყოველდღიური სტუმარია გალაკტიონი, რომელსაც ვერის ბაზარში ნაყიდი ერთი კონა ბოლოკი მოაქვს, იქვე ონკანის წყალში „გაახანხალებს“ და ტრაპეზს იწყებს. სკოლიდან მომავალი ბავშვები ცნობენ და გარს ეხვევიან.

– „სკოლიდან მოდიხართ? – ეუბნება გალაკტიონი, – რა კარგი ბიჭები ხართ! თუ არ დამეწვევით, წადით სახლებში და გაკვეთილები მოამზადეთ.

პატარები მეცხრე ცაზე არიან, დიდი პოეტი ცოცხლად ნახეს, გაესაუბრნენ...“

* * *

...**ბანა** შეიძლება, რომ თვალზე ცრემლი არ მოგადგეს, როცა ჭეშმარიტად დიდი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი ევგენი ხარაძე, გასული საუკუნის 90-იანი წლების დიდი განუკითხაობის ჟამს აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის 90 წლის იუბილეს აღმნიშვნელ სუფრაზე ამ წიგნის ავტორის გვერდით ისურვა დაჯდომა. დიდხანს არ გაჩერდა. ჭამითაც ცოტა მიირთვა... უნდა წავიდეო, თქვა. უეცრად ჯიბიდან ძველი პარკი ამოაცურა და მთხოვა: **„უმორჩილესად გთხოვო, ბატონო ომარ, საჭმელები ჩამიწყეთო...“** კაცი, რომელსაც ცა ხელისგულზე ედო, დედამიწისგან განწირული იყო. ნამდვილ თავისუფლებამდე, როგორც დღეს, მაშინაც შორს იყო, ოღონდ კიდევ უფრო ბევრად შორს.

* * *

...**ერთხელ** ნიკოლოზ მეორისთვის რომ მოუხსენებიათ, ჩაქვში შესაძლებელია ჩაის გაშენებაო, მცირე ფიქრის შემდეგ მოხსენებითი ბარათისთვის ასეთი რამ წაუწერია: **„როგორც ჩემთვის ცნობილია, ჩაი კოლონიურ შრომას მოითხოვს. მე კი არ მსურს, რომ ისეთი მშვენიერი ერი, როგორიც ქართველები არიან, გადაგვარდესო“.**

* * *

...**საიმპერატორო** ოჯახის წარმომადგენელს **გრაფ ოლდენბერგს** ერთ-ერთ წვეულებაზე თვალი მოუკრავს ქართველი **თა-**

ვადის ტარიელ დადიანის კალმით ნახატი მეუღლისთვის **აგრაფინა ჯაფარიძისთვის** და თავადისთვის იმის ცოლთან ერთი ღამის გატარების სანაცვლოდ მილიონი ოქროს თუმნიანი შეუთავაზებია. თავადს ცდუნებისთვის ვერ გაუძლია, შემდგომში აგრაფინა გრაფის მეუღლე გახდა, მან საყვარელ ცოლს თბილისში მდიდრული სასახლე აუშენა.

* * *

...**როგორც** მე, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ „დათა თუთაშხიას“ ავტორის მეუღლე, უმშვენიერესი მარინა მხეიძე თავის თანატოლთაგან განთლებით, გარეგნობით და ვაჟკაცობით გამორჩეულ **რობიკო ჯომარჯიძეს** ჭაბუა ამირეჯიბის გადასახლებიდან დაბრუნებამდე უზომოდ ჰყვარებია და შეთავაზებულ ცოლობაზე უარის გამო მამის რევოლვერით მოუკლავს თავი.

* * *

...**წიგნის** ერთ-ერთი პერსონაჟია ფაშისტებთან ნამსახური გენერალი **შალვა მაღლაკელიძე,** რომელსაც ომის შემდგომ საბჭოთა უშიშროების მიერ ბერლინიდან ჯერ მოსკოვში ჩამოყვანილს და შემდგომ თბილისში ჩამოსულს რამდენჯერმე შეხვედრია ავტორი. მაღლაკელიძის ცნობით, 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადება **ნოე რამიშვილის** დამსახურება ყოფილა და არა **ჟორდანიასი,** რომელსაც ქართველთმოძულე რუსი ცოლი ჰყოლია... ის აზრი, თითქოს ნოე ჟორდანიას ეკუთვნოდეს სიტყვები: **„ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ჭირისუფალი, ერის ბრწყინვალე მომავლით მსურს გავიხარო. თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი, დე, მტვრად ქცეულიც დამენახოს მთელი სამყარო...“** სინამდვილეში პოეტისა და მხატვარ-კარიკატურისტ **სიმონ ბერეჟიანისა** იყო და ჟორდანიას საფლავზე, ლევილში, ეს წარწერა არასდროს ყოფილა.

* * *

...**ამ წიგნიდან** ისიც შევიტყვე, რომ **ტიციან ტაბიძეს** თურმე არ მოსწონდა თავისი ნამდვილი სახელი „ტიტე“ და მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლისას სწორედ შალვა მაღლაკელიძეს მოუნათლავს **„ტიციანად“.** მაღლაკელიძესვე იშველიებს ავტორი, როცა წერს, რომ **შამილი** თითქოს **გრიგოლ ორბელიანს** კი არ დაეტყვევებინოს, სინამდვილეში რუსეთის მეფის გენერალ **ივანიკა კვინიტაძეს** შეუპყრია. აქვე იმასაც ვიგებთ, რომ თვითონ მაღლაკელიძე ახლოს ყოფილა **გერინგთან** და შემდგომ ერთი ხანობა **ადენაურის** მრჩევლადაც უმსახურია.

* * *

...**ერთხელ** ცნობილ **სიმონიკა სხირტლაძეს** ომარისთვის ასეთი რამ უამბია. ზამთარია, ბარდნის მთელი ღამის ნაქეიფარნი მოვუყვებით რუსთაველს, თეთრი ქურქით მოდის ულამაზესი ნატო ვაჩნაძე, მოდის და მოაქვს ქვეყანა! რომ მოგვიახლოვდა, უცებ ტყავის პალტო გავიძრე და ფეხქვეშ გავუფინე და მუხლი მოვიყარე. არ შეჩერებულა, შედგა ფეხი ჩემს პალტოზე, ოდნავ შეყოვნდა... გაგვიღიმა თავისი შეუდარებელი ღიმილით, თავი დაგვიკრა და გზა განაგრძო.

* * *

...**დღემდე** ანეკდოტად დადიოდა, რომ მავანი ქართველი ლენინგრადში დისერტაციას იცავდა და ერთ-ერთ ლენინგრადელ კომისიის წევრს უკითხავს, რატომ თბილისში არ იცავთო?

ქართველს მიუგია:

– ,,როცა ბლოკადის დროს ლენინგრადს ვიცავდი, რატომ მაშინ არ მკითხეთ, რატომ ვიცავდი ლენინგრადს?!“ ეს მაშინდელი ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი **შოთა გუტიძე** ყოფილა.

* * *

...**სპორტის** სასახლეს ჩვენი წიგნის ავტორიც აშენებდა. პროექტის ავტორი წარმოსადეგი ლადო მესხიშვილია. რეჟისორი **ლანა ღოღობერიძე** აქვე იღებს ფილმ **„ფრესკას“.** ლადომ ვესტიბიულში საგანგებო გადასაღები მოედანი დაუმონტაჟა. ასე აშენდა სპორტის სასახლესთან ერთად კიდევ ერთი ქართული ოჯახი.

* * *

...**მაგრამ** ქორწინების სასახლესთან ერთად ვერ აშენდა მეორე ქართული ოჯახი, თუმცა ხანუმა თვითონ **ნანული შევარდნაძე** იყო. საგარეჯოში თანაშეზრდილ მედიკო მეზვრიშვილს ქორწინების სასახლის პროექტის ავტორს, ცნობილ არქიტექტორს ვიქტორ (ბუცა) ჯორბენაძეს ურიგებდა. მაგრამ თვითონ ქალბატონი ნანულის „დანიშნული“ შუამავალი ომარ მარგველაშვილიც ვერაფერს გახდა. ბუცას თურმე ცნობილ სერგო ფარაჯანოვთან ერთად სოდომურ ცოდვაში ედგა ფეხი: **,,ჟენის, დურაკ, ზატო სეკრეტარ რაიკომა“** – ხალისობდა თურმე ფარაჯანოვი.

* * *

...**სხვათა** შორის, საბჭოთა კავშირში პირველად და უკანასკნელად **გაეროს ერთ-ერთი პირველი კონფერენცია** სწორედ თბილისის ქორწინების სასახლეში გამართულა და ბრწყინვალედ ჩატარებულა. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ომარ მარგველაშვილი ყოფილა..

* * *

...**ბარემ** აქვე ვიტყვი იმასაც, რომ გაეროში ხულიგნური გამოსვლისთვის დამთხვეული ხრუშჩოვი 10 ათასი ამერიკული დოლარით დაუჯარიმებიათ (ხრუშჩოვის თარჯიმანს ვიქტორ სუხადრევს უთქვამს ომარისთვის).

ჟაბუასთან



წიგნის გამოცემა ბატონმა ჟაბუამ მირჩია

* * *

...**ერთ-ერთი** ყველაზე სახალისო მოგონება ცხონებულ **ბორის წიფურიასთან** არის დაკავშირებული. ეს ამბავი თუ „ნოველა“ **„არაჩვეულებრივ გამოფენად“** არის სახელდებული. ზაფხულის ერთ პაპანაქება დღეს მაღალი წრის ქართველ ქალებს ფსონი გაუმართავთ. ბორიასთან დაურეკავთ, სუფრა გავაწყვეთ და შენთან ერთად ერთი ლამაზი საღამო გვინდა გავატაროთო. სულ პარტიული ელიტა ყოფილა: **ბელა მაყაშვილი, ლია ლომიძე, თამილა მაჭავარიანი, ნელი გურგენიძე, მადონა მგელაძე, ლამარა გაგუა, ვიოლა ჯაფარიძე, ცისანა ჩიხლაძე, დალი ბოჯგუა. მშვენიერ სუფრას, ერთ-ერთი ქალბატონის ოჯახში რომ გაეწყოთ, ჩიტის რძეც არ აკლდა!** დრო აღარ დაგვიკარგავს და შემოვუსხედით მაგიდას. თამადად ამირჩიეს – ყვება ბორისი, – სულ თაფლად ვიღვრებოდი... და უეცრად ჩანგალი არ დამივარდა?! დავიხარე, ხელი ვაფათურე, მაგრამ ვერ მივაგენი, კიდევ უფრო დავიხარე და მაგიდის ქვეშ აღმოვჩნდი. ჩანგალი კი ვიპოვე, მაგრამ... მიმოვიხედე და თვალთ დამიბნელდა... ჩანს, „გრადუსში“ მყოფ ქალებს ჩემზე არანაკლებ სცხელოდათ და რაკი თავისუფალ გარემოში იგრძნეს თავი, „სიფხიზლე“ დაკარგეს, კაბის კალთები წამოიხადეს და საზოგადოდ დაფარული ყველა „სიმშვენიერე“ გამოიჩინეს.

რა გინდა სულო და გულო! თეთრად ქათქათებს მზედაუკრავი სავსე ბარძაყები, ნაირ-ნაირი ფერისა და ფორმის ფუშფუშებიანი ბიკინები! „რა დროს ჩანგალია, შე ოხერო! გაახილე თვალი, ვინ იცის, კიდევ როდის ეღირსები ასეთი „არაჩვეულებრივი გამოფენის“ ხილვას?!“ ვარ თივაში გატრუნული თაგვივით.

უცებ მომისაკლისეს:

– ბორის, სად ხარ?

– ჩანგალი დამივარდა და ვეძებ.

ვიღაცა რაღაცას მიხვდა:

– მე შენ გიჩვენებ ჩანგალს! ახლავე ამოეთრიე და შენს სკამზე დაეგდე! – ატყდა ერთი გნიასი. ვინ ზარბაზნის ლულებივით ჩემკენ მოშვერილი თეთრი ქათქათა მუხლები სასწრაფოდ შეატყუპა, ვინ კაბის კალთების დაბლა ქაჩვას შეუდგა, ვინ წამოხტა სკამიდან, ვინ წვეტიან ქუსლებს მირტყამს, და მირაჟივით გაქრა რამდენიმე წამის წინ ეს გადაშლილი **„არაჩვეულებრივი გამოფენა...“**

– გულახდილად მითხარი, უსაწმერთულოდ იყო ვინმე? – ვკითხე.

– კი იყო, მაგრამ ვერ გაგიმხელ... – მიპასუხა.

მას შემდეგ სადაც კი ვნახავდი, ვეკითხებოდი – ბორის, ქალებმა აღარ დაგპატიჟეს-მეთქი? ფართოდ გაიღიმებდა და შესძახებდა, – რაც მინახავს, ვეღარ ვნახავო.

* * *

...**ავტორი** თავს არ არიდებს არც ერთგვარად საჩოთირო ამბებს. ერთ-ერთ ნოველა-ამბავში („ქალური სათნოების მაგალითი“) მოთხრობილია, მოსკოვში რუს „მანდილოსნებთან“ დროსტარების მიზნით, როგორ იძენდა მოსკოვში იმპორტულ „დამცავ“ საშუალებებს – პრეზერვატივებს (ბითუმად) და ისეთ ადგილას ინახავდა თბილისში, თავის ბინაში, რომ ცოლი შემთხვევით არ წასწყდომოდა... ერთხელ, მოსკოვში ყოფნისას ამგვარად „შეიარაღებული“ წასულა ლარისა ივანოვნასთან პაემანზე, მაგრამ იმ ერთხელ წასვლისას უმტყუნია „პრევენციის“ უცხოურ საშუალებებს, განა ერთს, ყველას ერთად!

ცოლს თურმე მიუგნია ერთად შეფუთული პრეზერვატივებისთვის და სულ სათითაოდ დაუხვრეტია ნემსით... მერე ისევ სამალავში მიუბრუნებია, და შერცხვა კაცი! მაგრამ ცოლს სათნო იუმორად ჩაუთვალა.

* * *

რაც შეეხება წიგნის ენას, ჩინებულია (რაც, ჩანს, ავტორთან ერთად, რედაქტორის, ქალბატონი **ბელა ლოლაძის** დიდი ნაამაგარიც არის!).

* * *

ცალკე უნდა აღინიშნოს წიგნისთვის დართული „ცხოვრებას ადევნებული ფიქრები“. აქ ავტორი უკვე თავისებური ქართველი ლაროშფუკოა, რომლის მაქსიმებმაც აგერ უკვე რამდენიმე საუკუნეს გაუძლო. ავტორს ბევრი საყურადღებო აზრი აქვს სხარტად მოვარგებული, რომელთაც თუნდაც დიდად გამოცდილი კაცი როგორც სხვა ადამიანებზე, ისე თავის თავზე დაუკვირვებლად ვერ შექმნის. ეს აზროვნების ურთულესი რამ არის. აი, რამდენიმე მათგანი: **„შენი ფასი იცოდე, მაგრამ ნურც სხვისას დაივიწყებ“; „არ იტრაბახო, როდესაც ფეხზე მყარად დგახარ – სულ გეშინოდეს, რომ არ დაეცე“; „პატარა ადამიანები უფრო ხშირად ამაყნი და ამპარტავანნი არიან“; „დიდი ფულის პატრონს ფსიქიკა ხშირად ღალატობს“; „კეთილშობილი და კეთილგონიერი ადამიანი არავის დამამცირებელს არ ეტყვის, თუნდაც ის ამას იმსახურებდეს“; „უმადურობა დიდი ცოდვაა“; „მიტევება მხოლოდ ძლიერი პიროვნების ბუნებაა“; ,,ქალი ბრწყინავს...კარგი ქმრის ხელში“; ,,ბედნიერი ქალი ლამაზია“; „სამწუხაროდ, ჩვენ, ქართველები ელემენტარულ ეროვნულ პასუხისმგებლობას ვართ მოკლებული...“; „ეროვნული თვითშეგნების მქონე ახალგაზრდობა სანთლით საძებარია“; ,,მე ჩემი შვილებისთვის მეხამრიდი ვარ“; ,,შური ადამიანს აავადებს და აბერებს“.**

* * *

ღმერთი, რჯული, სულ არ ვაპირებდი ამ წიგნზე ესოდენ ვრცელ საუბარს. თავში კი ვთქვი და ბოლოშიც უნდა გავიმეორო, რომ მართალი გითხრათ, არაპროფესიონალი კალმის კაცისგან, თუმცა ნამდვილი ინტელიგენტისგან, როგორიც ომარ მარგველაშვილია, მაინცდამაინც არ ველოდი, თუ კალამს ასე მარჯვედ იმორჩილებდა და არც ლიტერატურული გემოვნება ღალატობდა. მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ ჩემდა გასაკვირად, მოვტყუვდი. წიგნის სახელწოდება – **„როცა უკან მოხედვისა არ გეშინია“,** წაუკითხავად ანდა, თუნდაც თვალის ერთი გადავლებით, ცოტა არ იყოს, იქნებ ავტორს ტრაბახადაც ჩაუთვალო, მაგრამ თურმე როგორც ადამიანის შესაცნობად რამდენიმე **„ფუთი მარილის“** შეჭმაა საჭირო, წიგნის შეცნობასაც გულდადებით რამდენიმე „ფუთი **დროის“** ჩამოფქვა სჭირვებია.

მე ეს დრო გულდადებით ჩამოვფქვი და ამიტომაც შემექმნა ასეთი მაღალი, ოღონდ მიუკერძოებელი აზრი.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩემზე უკეთესად და ამომწურავად ხვალინდელი თუ ზეგინდელი მკითხველი იტყვის.

ყველა ურწმუნო თომას კი ვურჩევ, ჩემდა გასამტყუნებლად რამდენიმე საღამო გაატაროს ამ ცხოვრების უტყუარ წიგნ-მატიანესთან ერთად.

გურამ გოგიაშვილი

P.S. არ ვიცი, საჭიროა თუ არა ამის თქმა, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ამ წიგნის წაკითხვამდე და შეფასებამდე, მე და ომარ მარგველაშვილი რაღაც უბრალო საქმეზე წავკამათდით, და მან მცირე ხნით ჩემთან ურთიერთობა შეწყვიტა. ამის შემდეგ, ჩემდა სამარცხვინოდ, საგანგებოდ იმ მიზნით წავიკითხე ომარის წიგნი – „როცა უკან მოხედვის არ გეშინია“, რომ ჩავკირკიტებოდი და, როგორც იტყვიან, ღირებული წიგნის დაწერის უუნარობაში შეძლებისდაგვარად მემხილებინა, მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, კარგა გვარიანად მოვტყუვდი, წიგნმა ჩემდა უნებურად წამაკითხა თავი და ბატონი ომარი გამჭრიახ ადამიანად წარმომიდგა.

მჯერა, ჩემსავით დაემართება წიგნის ყველა კარგ მკითხველს და არა უბრალოდ გადამკითხველს, როგორც პოეტი იტყოდა.

გ.გ.

(მესამე გვერდიდან)

მარცხნიდან: სერგო ორჯონიკიძე, ბუდიონი, პიატაკოვი, ნესტორ ლაკობა

იურიდიული და მორალური ვალდებულება, როგორც ბურჟუაზიული ცრურწმენა

1810 წელს, როცა აფხაზეთის მთავარი რუსეთის მფარველობაში შევიდა, მართლაც აღმოსავლეთ საქართველოში უკვე რუსები იყვნენ გაბატონებულნი, და მიზანმიმართულად მხოლოდ ამ ტერიტორიას მოიხსენიებდნენ „გრუზიად“, მაგრამ სიზუსტისთვის უნდა დავსძინოთ, რომ ამ ტერიტორიას მაშინ ჯერ კიდევ არ ერქვა ტფილისის გუბერნია. დასაწყისში არსებობდა გრუზინსკაია გუბერნია, მერე ცოტა ხანი გრუზინო-იმერეტინსკაია გუბერნიაც არსებობდა და 1846-ში შეიქმნა ტფილისისა.

როცა რუსეთის იმპერია 1917 წლის რევოლუციების შედეგად დაიშალა, საქართველოს ტერიტორია მოიცავდა ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებს და ეს აღიარა კიდეც საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით. მეტიც, საქართველომ რუსეთისგან მიიღო შავიზღვისპირა ვიწრო ზოლიც და მდინარე ფსოუ გახდა რუსეთ-საქართველოს საზღვარი, რითაც, რასაკვირველია, აფხაზეთი და ოსებით დასახლებული მიწები აღიარებული იყო როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი.

აფხაზეთი, აფხაზებისა და ოსების ბედზე დღეს აგრერიგად მზრუნველ რუსებს არც გახსენებიათ და საერთოდ არაა ნახსენები ამ ხელშეკრულებაში, აღარაფერს ვიტყვი „სამხრეთ ოსეთზე“, რომლის სახელიც კი არ არსებობდა.

მართალია, მაშინაც ლენინი, ისე როგორც დღეს პუტინი, ყოველგვარ ხელშეკრულებას ფარატინა ქაღალდად თვლიდა, რომელიც მხოლოდ დროებით, ტაქტიკური მიზნებისთვის იყო საჭირო. მოსწრებულად წერდა ბარონი ვრანგელი 1920 წელს, სწორედ საქართველოსთან დადებული ხელშეკრულების გამო, რომ „კარგადაა ცნობილი ბოლშევიკების შეხედულება, რომლებიც ყოველგვარ იურიდიულ და მორალურ ვალდებულებას ბურჟუაზიულ ცრურწმენად მიიჩნევენ“.

დამოუკიდებლობის პერიოდში მართლაც იდგა აფხაზი ხალხის თვითგამორკვევის საკითხი. 1918 წელს აფხაზებს შორის არსებობდნენ პროთურქულად, პრობოლშევიკურად, პროჩრდილოკავკასიურად, პროამიერკავკასიურ-პროქართულად განწყობილები. რუსეთმა ადგილობრივი ბოლშევიკების საშუალებით რამდენჯერმე მოაწყო ჯანყი. აფხაზეთის სახალხო საბჭომ მაისში (ანუ ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე) დახმარება სთხოვა ამიერკავკასიის სეიმს ბოლშევიკებთან გასამკლავებლად. ივნისში, მას შემდეგ, რაც აფხაზეთის სახალხო საბჭომ დაადასტურა აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა, ავტონომიური სტატუსით, წითელი არმია შეეცადა აფხაზეთში შეჭრას, რასაც საქართველოს ჯარის მხრიდან საკადრისი პასუხი მოჰყვა და არა მხოლოდ რუსების მიერ დაკავებული გაგრა და გუდაუთა დაიბრუნეს, არამედ სოჭი და ტუაფსეც აიღეს. რუსებისთვის ამ, როგორც ჩანს, ტრაგიკული ისტორიის გახსენება არ უნდა პუტინს და თან ქართველების წარმატებას გერმანელების დახმარებას მიაწერს. გერმანელების დამსახურება დიდია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებაში და გერმანელები მართლაც იღებდნენ მონაწილეობას აფხაზეთში განვითარებულ პროცესებში, მაგრამ არც იმდენად, რომ აფხაზეთის საქართველოში ყოფნა 1918 წელს გერმანიის დამსახურებად მივიჩნიოთ. მაგრამ პუტინს, როგორც ძველი ყაიდის ბოლშევიკს, ამით კიდევ ერთხელ უნდა დაამცროს ქართული სახელმწიფოებრიობის ღირებულება და ის უცხოეთის „იმპერიალისტების“ კეთილგანწყობაზე მიბმულ წარმონაქმნად წარმოგვიდგინოს.

იმას, რაც აფხაზეთში 1918 წელს ხდებოდა, ვერაფრით ვუწოდებთ ოკუპაციას, ისე როგორც ოსების აჯანყების ჩაქრობას - გენოციდს, სიტყვას რომელიც ასე ინფლაციურად იხმარება დღეს.

იმპერიალიზმსა და რევოლუციას შორის

თუ ვინმე მე-19 და მე-20 საუკუნეების განმავლობაში კავკასიაში გენოციდს აწყობდა, ეს რუსეთი იყო. პირისაგან მიწისა აღგავეს შავიზღვისპირეთში მცხოვრები ჩერქეზული ტომები, გადაასახლეს ჩერქეზების 90-95 %, სხვა კავკასიელი მთიელები. აფხაზების ნახევარზე მეტი, სწორედ რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებების სისხლში ჩახშობის შემდეგ, იძულებული გახდა, ეტაპობრივად დაეტოვებინა აფხაზეთი. ათასობით აფხაზი დაიღუპა გადასახლების დროს.

ეს ზღაპრები საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რუსულ-კომუნისტურმა პროპაგანდამ მაშინვე მოიფიქრა. ლევ ტროცკი დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ პასკვილს „იმპერიალიზმსა და რევოლუციას შორის“ (Между империализмом и революцией, 1922) უძღვნის „ოსეთის, აფხაზეთის, აჭარის, გურიის, სამეგრელოს და სხვ., გლეხთა აჯანყების ბელადებს, რომლებიც საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ დახვრიტა“ (памяти революционных вожаков крестьянских восстаний Осетии, Абхазии, Аджарии, Гурии, Мингрелии и пр., расстрелянных меньшевиками правительством Грузии, – посвящается автором эта книга). აქაც ოსეთი (სამხრეთი არც წერია), აფხაზეთი, აჭარა, გურია, სამეგრელო „ი პროჩიე“ რაღაც სხვაა და საქართველო სხვა.

თუ ტფილისის ხელისუფლებისგან აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე ვსაუბრობთ, მაშინ ეს პერიოდი არის 1921 წლის მარტიდან დეკემბრამდე, როცა ურთიერთობები თბილისსა და სოხუმს შორის გაურკვეველი იყო. „გასაბჭოების“ შემდეგ, 28 მარტს გამოცხადდა აფხაზეთის სსრ შექმნა, რომელმაც ამავე 1921 წლის 16 დეკემბერს საქართველოს სსრ-სთან ხელი მოაწერა სამოკავშირეო ხელშეკრულებას, რის გამოც აფხაზეთს სახელშეკრულებო რესპუბლიკასაც უწოდებდნენ. საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებს შეუძლიათ იდავონ, რამდენად იყო ეს ორ თანასწორ თუ არათანასწორ სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულება, მაგრამ თბილისისგან „დამოუკიდებელ“ ამ პერიოდშიც აფხაზეთის ბიუჯეტს თბილისში ადგენდნენ.

დამოუკიდებლობა, როგორც ილუზია

საბჭოთა კავშირის ე.წ. ლენინური ეროვნული პოლიტიკა ილუზიას უქმნიდა პატარა და მოზრდილ ერებს, რომ ისინი დამოუკიდებლები არიან და თავიანთ ბედს თვითონ განაგებენ. საქართველოშიც ბევრი, ალბათ, 1921 წლის თებერვალ-მარტიდან 1922 წლის დეკემბრამდე იმ ილუზიით ცხოვრობდა, რომ „დამოუკიდებელი“ საბჭოთა რესპუბლიკა იყო. ასეთივე ილუზია შეუქმნეს აფხაზებსაც, სინამდვილეში კი მოსკოვიდან იმართებოდა ყველაფერი. აფხაზები და ქართველები და სხვანი ერთნაირად მოტყუებულნი იყვნენ ტოტალიტარულ სახელმწიფოში.

საბჭოთა კავშირი ცდილობდა, სხვადასხვანაირი ავტონომიურობის იერარქიით მოეგვარებინა საბჭოეთის მრავალეროვან სახელმწიფოში ერებსა და ეროვნებებს (ასეთია საბჭოური ტერმინოლოგია) შორის ურთიერთობები, მათთვის, თუნდაც მკაცრად იერარქიული და არათანასწორი გარკვეული სახელმწიფოებრივი სტატუსების მინიჭებით (მოკავშირე რესპუბლიკებს გამოყოფის უფლებაც ჰქონდათ ქაღალდზე).

ის, რომ აფხაზეთს 1931 წლამდე სსრ ერქვა, რეალურად არაფერს ნიშნავდა. ეს კარგად ჩანს ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაარსების დოკუმენტებში. 1922 წლის საბჭოთა კავშირის დაარსების დეკლარაცია და ხელშეკრულება არ იცნობს საქართველოსგან რაიმენაირად დამოუკიდებელ აფხაზეთს. აქ მისი ხსენებაც არაა. 1924 წლის პირველ სსრკ კონსტიტუციაში აფხაზეთი მხოლოდ შენიშვნაშია ნახსენები, როგორც საქართველოს სსრ შემადგენელი ავტონომიური რესპუბლიკა (ჩვეულებრივად ავტონომიური, არანაირად განსხვავებული აჭარის ასსრ-სგან!); აფხაზეთის ხსენება არაა 1925 წელს მიღებულ ამიერკავკასიის სფსრ კონსტიტუციაში (რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს).

1931 წელს მიიჩნიეს, რომ ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ შედეგი გამოიღო და ერთა შორის დაპირისპირება აღარაა. ე.წ. ეროვნული საკითხი „ერთხელ და საბოლოოდ“ მოგვარებულად ჩათვალეს და ეს მხოლოდ ქაღალდზე არსებული სახელიც ჩვეულებრივი სტანდარტული სახელით შეცვალეს, რომელიც უფრო რეალისტურად ასახავდა არსებულ მდგომარეობას, ისე როგორც უკვე 1924 წლის სსრკ კონსტიტუციაში, რადგან სინამდვილეში არანაირი განსხვავება არ იყო ამ ორ ვითომ სტატუსს შორის სახელის გარდა.

ცენტრის ექსპერიმენტები ეროვნული უმცირესობებისთვის

აქვე უნდა ვთქვათ, რომ 20-იანი წლები საბჭოთა ისტორიაში ექსპერიმენტების პერიოდია – შედარებითი თავისუფლებით ეკონომიკის და კულტურის სფეროში, ასევე ადმინისტრაციულ-ეროვნული მოწყობის საქმეებში. ეს პერიოდი ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დასრულებასთან და ინდუსტრიალიზაცია-კოლექტივიზაციის დაწყებასთან ერთად ოციანი წლების ბოლოს მთავრდება. პოლიტიკური რეჟიმის უნიფიკაცია ხდება. ცენტრი უფრო მკაცრად უჭერს ხელს პერიფერიებს. ზოგიერთ აფხაზ ბოლშევიკში, ისე როგორც ქართველ ბოლშევიკებს შორის, ეს მომატებული ცენტრალიზაცია და წნეხი იმპერიის ცენტრიდან უკმაყოფილებას გამოიწვევდა უდავოდ და გარკვეული თავისუფლების შეზღუდვად აღიქმებოდა. აფხაზეთი საბჭოეთის რივიერა იყო და მთელი კომუნისტური ელიტა აქ ისვენებდა. მათთან პირდაპირი ურთიერთობა ჰქონდათ ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტებს. სოხუმსა და მოსკოვს შორის ურთიერთობაში თბილისი ზედმეტად აღიქმებოდა. მიუხედავად ამისა საერთო უნიფიკაცია-სტანდარტიზაცია და ცვლილებები რივიერასაც შეეხო.

მარტო საბჭოთა შუა აზიას რომ შევხედოთ, კარგად დავინახავთ, როგორი ცვლილებები მიმდინარეობს აქ 20-იან წლებში: 1924 წელს დაშალეს რუსეთის ფედერაციაში შემავალი თურქესტანის ასსრ და მის ადგილზე შექმნეს 4 რესპუბლიკა. მანამდე საბჭოთა კავშირში შემავალ მოკავშირე რესპუბლიკად გამოცხადებული ხორეზმისა და ბუხარის რესპუბლიკები გააუქმეს და ახლად შექმნილ უზბეკეთის სსრ-ს მიუერთეს. 1925 წლამდე ყაზახეთს ყირგიზეთი ერქვა და 1936 წლამდე ყაზახეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციაში შედიოდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ბოლშევიკებმა მთიელთა ავტონომიური სსრ შექმნეს, ეროვნული გამიჯვნა დაიწყეს 1924 წელს. ომის დროს დეპორტირებულ ერთა ავტონომიები გააუქმეს და შემდეგ 50-იანებში, სტალინის სიკვდილის შემდეგ აღადგინეს. 1944 წელს მსოფლიოს რუკიდან გაქრა ტუვის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც ტანუ-ტუვას სახელით ფორმალურად დამოუკიდებელი გახდა 1918 წელს. ის სსრკ-მა შეიერთა, არა როგორც მოკავშირე სსრ, არამედ რსფსრ-ში შემავალი ავტონომიური ოლქი.

ვალიარეთ: მეოცე საუკუნის ისტორია საერთოდ არ გვაქვს!

რა ვაკეთოთ?

პუტინი არა იმდენად უვიცია, რამდენადაც თავხედი, რომელსაც გასდის და სანამ გასდის, თავისას არ მოიშლის. მაგრამ ჩვენც განვიცდით ამ პროპაგანდის გავლენას და არ უნდა გვიკვირდეს უცხოელებზე მისი გავლენა, განსაკუთრებით კავკასიის ნაკლებად ცნობილ ისტორიის დარგში. რუსები წერდნენ და წერენ კავკასიის ისტორიას, როგორც მათ ხელს აძლევს, ისე როგორც მათი გავლენით ჩვენც.



ჩეჩნეთისა და ინგუშეთის დეპორტაციის ამსახველი კადრი

ეს ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და სხვ. კავკასიელთა ისტორიები ხშირად ძალიან შორსაა სინამდვილისგან და უცხოელთა ჯანმრთელ ეჭვს იწვევს. ეს პატრიოტული ისტორიები, რომლებიც პირდაპირი გადმონაშთია „სსრკული პატრიოტიზმისა“, როცა ჩვენ „სიავეს ქართვლისას“ არ ვამბობთ და „ჩვენს ცუდს“ ვმალავთ, შორს ვერ წაგვიყვანს. გრძელვადიან პერსპექტივაში ისტორიის კვლევას სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს, მზად იყოს საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით უსიამოვნო სიმართლესაც თვალი გაუსწოროს და ბიძგი მისცეს ფართო დისკუსიას განსაკუთრებით ჩვენი ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით. შეგვიძლია ვაღიაროთ – მეოცე საუკუნის ისტორია საერთოდ არ გვაქვს.

მაგრამ, მაგალითად, ის რომ აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა 1931 წლამდე ფიქციაა, ადვილი დასასაბუთებელია საბჭოთა კანონმდებლობითაც, ხელშეკრულებებით, კონსტიტუციებით. ჩვენ არ უნდა ვითხოვოთ, ჩვენ ინტერპრეტაციას ენდონ და არა რუსულს – უბრალოდ, იმდროინდელი დოკუმენტებს გაეცნონ და დასკვნები თვითონ გამოიტანონ. ამ და სხვა მსგავს საკითხებზე შეიძლება მოკლე და ყველასთვის გასაგები ტექსტები შეიქმნას, იდოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტზე, როგორც პასუხები ხშირად დასმულ კითხვებზე (FAQ _ Frequently Asked Questions), სხვა სამინისტროებისაც, მუდმივად ვიმუშაოთ თუნდაც ვიკიპედიის ტექსტებზე, რომელსაც ძალიან ბევრი ადამიანი იყენებს ინფორმირებისთვის – ეს არის ის მინიმუმი, რაც შეიძლება მალე და დიდი ძალისხმევის გარეშე გაკეთდეს.

ლაშა ბაქრაძე

შემთხვევით გაკეთებული მეცნიერული აღმოჩენები

„კომერსანტი“ წარმოგიდგენთ 6 მეცნიერულ აღმოჩენას



1. კარდიოსტიმულატორი

მოწყობილობა, რომელმაც გადაარჩინა მილიონობით სიცოცხლე, შექმნა ამერიკელმა მეცნიერმა ჯონ გრიტბეტჩმა. ის მუშაობდა აპარატზე, რომელსაც შეეძლო ადამიანის გულისცემის ჩაწერა. 1956 წელს, ბუფალოს უნივერსიტეტში ჩატარებული ექსპერიმენტის დროს, მან შემთხვევით ჩართო არასწორი რეზისტორი და აღმოაჩინა, რომ წარმოქმნილი ელექტრონული იმპულსები ძალიან ჰგავს ადამიანის გულისცემას.

მეცნიერი მიხვდა, რა პერსპექტივებს ხსნის შემთხვევით გაკეთებული აღმოჩენა და დაიწყო მუშაობა მის სრულყოფაზე. 1958 წელს მოხვდა კარდიოსტიმულატორის ტესტირება ძაღლზე.

2. სიმინდის ფანტელები

მე-19 საუკუნეში, ძმებს კელოგებს ეკუთვნოდა სასტუმრო შტატ მიჩიგანში. ერთხელაც ისინი ამზადებდნენ რაღაც კერძს სიმინდის ფქვილიდან, თუმცა, მოუწიათ სასწრაფოდ გასვლა გადაუდებელ საქმეზე.

დაბრუნებულებმა მათ აღმოაჩინეს, რომ ფქვილი გაფუჭდა, და შეწვის პროცესში გახდა ჰაეროვანი და ხრაშუნა. ახალ კერძს მათ დაუმატეს შაქარი, რძე და ზეფირი, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა რესტორნის კლიენტებს შორის.

მოგვიანებით ძმებმა დააარსეს კომპანია Kellogs, რომელიც დღესაც აწარმოებს სიმინდის ფანტელებს.



3. მიკროტალღური ღუმელი

ეს უმნიშვნელოვანესი გამოგონებაც შემთხვევითი იყო. კონკრეტულად როგორც მოხდა ეს, დაზუსტებით ცნობილი არაა — არსებობს რამდენიმე ვერსია.

ინჟინერი პიტერ სპენსერი მუშაობდა შეიარაღების მწარმოებელ კომპანია Raytheon-ში, სადაც ატარებდა ექსპერიმენტებს მიკროტალღურ მოწყობილობასთან, როდესაც აღმოაჩინა, რომ მათი გამოყენება შესაძლებელია საჭმლის გაცხელებისთვის.

პირველი მიკროტალღური ღუმელი გამოვიდა 1947 წელს, თუმცა დასაწყისში ეს იყო ადამიანის სიმაღლის და 300 კილოს წონის აპარატი, თანაც საკმაოდ ძვირი — 3000 დოლარი ღირდა. დღევანდელი ფორმის მიკროტალღური ღუმელების წარმოება 60-ან წლებში დაიწყო.

4. კევლარი



ძსოვილი, რომელიც გამოირჩევა მაღალი სიმკრივით და ამავე დროს ელასტიკურობით, აწარმოებს კომპანია DuPont. გამოგონება ეკუთვნის ამ ფირმის თანამშრომელს, ქიმიკოსს სტეფანი კვოლეკს.

მექანიკური თვისებების გამო კევლარი შეუცვლელია ჯავშანჟილეტების და ჩაფხუტების წარმოებაში. მასალის აღმოჩენა მოხდა 1964 წელს, როდესაც სტეფანი კვოლეკი მუშაობდა მსუბუქი, მაგრამ მკვრივი ქსოვილის რეცეპტზე. 1971 წელს ლაბორატორიაში პირველად შეიქმნა კევლარი.

5. პენიცილინი

ასობით მილიონი სიცოცხლე გადაარჩინა ანტიბიოტიკების გამოყენებამ თანამედროვე მედიცინაში. ეს არის ინგლისელი მეცნიერის ალექსანდრ ფლემინგის დამსახურება. ლონდონის ერთ-ერთ საავადმყოფოში ის იკვლევდა სტაფილოკოკების ზრდას და თვისებებს და სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა პირველი ანტიბიოტიკი.

ერთხელ მან მაგიდაზე დატოვა გაურეცხავი თეფშები ბაქტერიებით, და რამდენიმე დღეში მათზე ობი აღმოაჩინა. ყველაზე საინტერესო კი იყო ის, რომ ირგვლივ ყველა ბაქტერია მკვდარი იყო. მრავალი ცდის შედეგად, ის მივიდა დასკვნამდე, რომ ობი კლავს ბაქტერიებს. მან ამ ნივთიერებას პენიცილინი დაარქვა.

6. კარტოფილის ჩიფსები

1853 წელს, ერთ-ერთ რესტორანში მილიარდერ კორნელიუს ვან დერ ბილდტს არ მოეწონა შემწვარი კარტოფილი, რომელიც, მისი აზრით, ზედმეტად სქელი იყო.

მზარეულმა ჯორჯ კრამმა ამის საპასუხოდ კარტოფილი ძალიან წვრილად დაჭრა და შეწვა ზეთში. მისთვის მოულოდნელად, მეწარმეს ძალიან მოეწონა ეს ვარიანტი. ცოტა ხანში ჩიფსები რესტორნის საფირმო კერძი გახდა.

1860 წელს მან საკუთარი რესტორანი გახსნა, და არ გეგმავდა ჩიფსების რეცეპტის გამჟღავნებას, თუმცა სიმარტივის გამო ეს თავისთავად მოხდა.

COMMERSANT.GE

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის (F-4) საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია მოქალაქეების გელა ნებიერიძისა (პ/ნ 18001005950) და გიორგი ნებიერიძის (პ/ნ 18001002957) თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები: ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა საქარაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.47.525) მთლიანი ფართობი (351 კვ.მ); ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა საქარაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.47.673) მთლიანი ფართობი (333 კვ.მ); ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა საქარაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.47.524) მთლიანი ფართობის 1 517 კვ.მ-ის ნაწილი - 107 კვ.მ და ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა საქარაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.47.672) მთლიანი ფართობის 305 კვ.მ-ის ნაწილი - 64 კვ.მ.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქეებთან გელა ნებიერიძესთან (პ/ნ 18001005950) და გიორგი ნებიერიძესთან (პ/ნ 18001002957) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების: ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა საქარაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.47.525) მთლიანი ფართობის (351 კვ.მ); ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა საქარაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.47.673) მთლიანი ფართობის (333 კვ.მ); ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა საქარაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.47.524) მთლიანი ფართობის 1 517 კვ.მ-ის ნაწილის - 107 კვ.მ და ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვედა საქარაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.47.672) მთლიანი ფართობის 305 კვ.მ-ის ნაწილის - 64 კვ.მ. მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრეები ინფორმირებული იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 12 აგვისტოს №1-1/392 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება), პროექტის ფარგლებში დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ გელა ნებიერიძისა (პ/ნ 18001005950) და გიორგი ნებიერიძის (პ/ნ 18001002957) თანასაკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებაზე: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.47.525) მთლიან ფართობზე (351 კვ.მ); ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.47.673) მთლიან ფართობზე (333 კვ.მ); ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.47.524) მთლიანი ფართობის 1 517 კვ.მ-ის ნაწილზე - 107 კვ.მ-ზე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 32.03.47.672) მთლიანი ფართობის 305 კვ.მ-ის ნაწილზე - 64 კვ.მ-ზე (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების გელა ნებიერიძისა (პ/ნ 18001005950) და გიორგი ნებიერიძის (პ/ნ 18001002957) თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

◎ ძიუდო

სტარტი – 2 „ოქროთი“

ფინეთის ქალაქ ვანტაასში მიმდინარე ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი ქართველმა ფალავნებმა წარმატებით დაიწყეს – ორი ოქროს მედალი მოიპოვეს. გოგონათა 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში ეთერ ლიპარტელიანმა იყო-ჩაღა: იგი ევროპის შარშანდელი პირველობის ფინალისტია, ამჯერად კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. საგულისხმოა, რომ ძიუდოისტ ქალთა შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, მის გარდა, არავინ გვყოლია.

ფინეთში პირველ საშეჯიბრო დღეს ლიპარტელიანი პაექრობებში მეორე წრიდან ჩაება და ზედიზედ იპონით დაამარცხა ხორვატი დორა ბორტაში, ჰოლანდიელი პლეუნი კორნელისე და გერმანელი სეია ბალჰაუსი. ფინალში ლიპარტელიანმა იტალიელ სილვია პელიტერს აჯობა – ორი ვაზარით წმინდად მოუგო, თან მსაჯებმა კიდევ ერთი ვაზარი არ ჩაუთვალეს.

ვანტაასში საქართველოს ჰიმნი მეორედ გიორგი თუთაშვილის პატივსაცემად აჟღერდა. მან 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში იჭიდავა. თბილისის „დიდი პრიზის“ წლევანდელი ფინალისტი ფინურ ტატამზე შეუდარებელი იყო – ხუთივე შეხვედრა წმინდად მოიგო: ჯერ სლოვენიელ ურ კლოპჩიჩს სძლია, შემდეგ – ლატვიელ არტიომს გალაკტიონოვსსა და ჰოლანდიელ ივო ვერჰორსტერტს, ნახევარფინალში ევროპის შარშანდელი აზერბაიჯანელი პრიზიორი იბრაჰიმ ალიევი გაფრთხილებებით მოახსნევინა მსაჯებს, გადამწყვეტ პაექრობაში კი მოლდოველი ადილ ოსმანოვი დაამარცხა, რომელმაც მერვედფინალში ასპარეზობიდან ლუკა კაპანაძე გამოთიშა.

ლაშა დიდია

◎ ჭადრაკი

პირველი ბარიერი გადალახა

ხანტი-მანსიისკში დაიწყო ნოკაუტ-სისტემით მოჭადრაკეთა მსოფლიოს თასის გათამაშება. შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის 128 წარმომადგენელი ჩაება. პირველი რაუნდის შემდეგ მთავარი პრიზის მაძიებელთა რაოდენობა განახევრდა. წარმატებულთა შორისაა ნატურალიზებული ბულგარელი ივან ჩეპარინოვი. საქართველოს სახელით მოასპარეზე დიდოსტატმა პირველ წრეში 1.5:0.5 დაამარცხა ეგვიპტელი აჰმედ ადლი. მისი შემდეგი მეტოქე იქნება მაღალი რეიტინგის მქონე რუსი ვლადისლავ არტემიევი, რომელმაც სტატზე თანამემამულე ილია ილიუშენოკს აჯობა.

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

ბოიკოტით იმუქრებიან

„პარი სენ-ჟერმენის“ გულშემატკივრები კვლავაც აგრესიულად არიან განწყობილნი სკანდალურ თავდამსხმელ ნეიმარის წინააღმდეგ – გვამცნობს RMC Sport.

წყაროს მტკიცებით, კლუბის ხელმძღვანელობა შეხვდა ფანებს, თუმცა, ვითარების შერბილება ვერ შეძლო. ულტრასები იმუქრებიან, რომ დღეს, „სტრასბურთან“ საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩში, რომელშიც ნეიმარი ახალ სეზონში ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშებს, სალანძღავ ბანერებს გამოფენენ ბრაზილიელის წინააღმდეგ.

„პსჟ“-ის ხელმძღვანელობა იმედს არ კარგავს, რომ ფანებთან მოილაპარაკებს, რომლებიც არა მხოლოდ ფრანგული ლიგა 1-ის შეხვედრის, არამედ მადრიდის „რეალთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის მატჩის ბოიკოტითაც იმუქრებიან.

შეგახსენებთ, რომ გასული ზაფხულის დასაწყისში ნეიმარმა პარიზული კლუბიდან წასვლის და „ბარსელონაში“ დაბრუნების სურვილი გამოთქვა, თუმცა, ტრანსფერი ვერ მოხერხდა.

გიორგი შოთაძე

◎ ძალოსნობა

მსოფლიოზე – ათეულით

18 სექტემბერს დაიწყება და 27-ში დამთავრდება ძალოსანთა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელსაც ტაილანდის საკურორტო ქალაქი პატაია უმასპინძლებს. შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრები, სავარაუდოდ, 10 სპორტსმენით იასპარეზებს. ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა გიორგი ასანიძემ მათი ვინაობა დაასახელა. ესენი არიან: შოთა მიშველიძე, გოდერძი ბერდელიძე (ორივე – 61 კგ), გოგა ჩხეიძე (67 კგ), კახი ასანიძე, არჩილ მალაყმაძე (ორივე - 73 კგ), რევაზ დავითაძე (89 კგ), ანტონ პლესნოი (96 – 102 კგ), ირაკლი ჩხეიძე (102 კგ), ლაშა ტალახაძე, გიორგი ჩხეიძე (ორივე – +109 კგ). ნაკრების კაპიტანმა, რიოს ოლიმპიადის პრიზიორმა და ევროპის ჩემპიონმა ირაკლი თურმანიძემ ოპერაცია გაიკეთა და, სამწუხაროდ, ფიცარნაგზე ვერ გამოვა.

საქართველოს ძალოსანთა ნაკრები პატაიაში ხვალ გაემგზავრება.

გივი გაგუა

◎ ინტერნეტიდან

ეშხიანი კოლეგა

იტალიელები, მოგეხსენებათ, ესთეტი ხალხია და ტელეწამყვანებსაც დიდი რუდუნებით არჩევენ ხოლმე. ჰოდა, აბა, რა გასაკვირია, რომ სპორტული თემატიკის გადაცემების წამყვანი ქალბატონი იოლანდა დე რიენცო ისეთი შესახედაობის ვინმეა, რომ მისი მხილველნი ადვილად ივიწყებენ სპორტულ ოცობოდიებს და სხვა ფიქრნი ახელებთ.

იოლანდა დე რიენცო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთბაშად რამდენიმე გადაცემას უძღვება და არხ „სპორტიტალია“-ზე ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული წამყვანია, ხოლო მისი დეკოლტედან მომზირალი მშვენებები იოლანდას იმგვარ პოპულარობას განაპირობებენ, ბევრი გამოცდილი ტელესახეც რომ ვერ იოცნებებდა.

ვინც კი იტალიურ ტელეარხებს უყურებთ, ალბათ, ადვილად შეამჩნევდით, რომ სპორტული გადაცემების წამყვანებად ლამაზმანები არცთუ იშვიათად გვევლინებიან, თუმცა, იოლანდა აქაც გამორჩეული ქალია და, როგორც მავანნი ამბობენ, სპორტშიც კარგად ერკვევა და პოპულარობა მხოლოდ საკუთარი სხეულის მიმზიდველი ფორმებით არ მოუხვეჭავს.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

ფინალი ნახევარფინალში

ჩინეთში მიმდინარე საკალათბურთო მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში ესპანეთის ნაკრებმა ავსტრალიას 95:88 სძლია და პირველი ფინალისტი გახდა. მატჩი ძალიან დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა. ჯამში გუნდებმა ორი ოვერტაიმი ითამაშეს.

პირველი პერიოდი ესპანელებმა ერთი ქულით მოიგეს, დიდ შესვენებაზე კი ავსტრალიელები ექვსქულიანი უპირატესობით გავიდნენ. მესამე მეოთხედში ევროპელებმა ისევ ერთი ქულით იძალეს, ძირითადი დრო ფრედ – 71:71 დამთავრდა და ოვერტაიმი დაინიშნა.

თამაშის ბედი მეორე ოვერტაიმში გადაწყდა რომელიც ესპანელებმა გაზოლის, ლულისა და რუბიოს ძალისხმევით თავის სასარგებლოდ დაასრულეს.

არგენტინა საფრანგეთი – 80:66.

ვიტალი ჯაფარიძე

ბრიტანული სეზონი თბილისში

დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ და საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩმა ჯასთინ მაქენზი სმითმა თბილისში ბრიტანული სეზონი გახსნეს.

ღონისძიების ფარგლებში, „რუსთაველის“ მეტროსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, „ბრიტანეთი-საქართველო 2019“-ის დროებითი ინსტალაცია მოეწყო, ხოლო მეტროსადგური „რუსთაველი“ ბრიტანეთთან ასოცირებული გამოფენით გაფორმდა.

კახა კალაძის თქმით, საქართველოსა და ბრიტანეთს შორის ურთიერთობა ბოლო წლებში კიდევ უფრო გაღრმავდა და უფრო მეგობრული გახდა.

სამი თვის განმავლობაში დედაქალაქის სტუმრებსა და მოსახლეობას საშუალება ექნებათ, უკეთ გაიცნონ თანამედროვე ბრიტანეთი.

„მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტს დახმარებისთვის, კახა კალაძეს. ყველასთვის ცნობილია, რომ განსაკუთრებით ლამაზია თბილისის მეტროს რუსთაველის სადგური, სწორედ ამიტომ, აქ სამი თვით განვათავსებთ გალერეას, რომელიც ბრიტანულ ელფერს შესძენს ამ სადგურს, ასევე ყველა ავტობუსს ექნება ბრიტანული ხედები. ეს არის „ბრიტანული სეზონი 2018“-ის შესანიშნავი დასაწყისი“, — განაცხადა ჯასთინ მაქენზი სმითმა.

„ბრიტანეთი-საქართველო 2019“ დიდი ბრიტანეთის საელჩოსა და ბრიტანეთის საბჭოს ერთობლივად დაგეგმილი 60-ზე მეტი ღონისძიებისგან შემდგარი პროგრამაა, რომელიც დეკემბრამდე გაგრძელდება. ღონისძიებები თბილისის გარდა, ბათუმში, ქუთაისსა და ქვეყნის სხვა რეგიონებში გაიმართება.

ხსოვნა

გოდერძი კუპრავა



ბატონი გოდერძი კუპრავა დაიბადა 1945 წლის 26 თებერვალს წყალტუბოს რ-ნის სოფ. გეგუთში. 1963 წელს, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, სწავლას აგრძელებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში „ელექტროსადგურების“ სპეციალობაზე. 1969 წლიდან შრომით საქმიანობას აგრძელებს „რიონჰესის კასკადში“ მორიგე ინჟინრად. 1976წ. ბატონი გოდერძი ინიშნება „ვარციხეჰესების კასკადის“ ჯერ მთ. ინჟინრად, ხოლო 1985-2005წწ. — გენერალურ დირექტორად, სადაც ნათლად წარმოჩინდა მისი მაღალი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობის გრძნობა. ამ პერიოდში ენერგეტიკაში სიტუაცია უმძიმესი იყო, პირადად მან დიდი წვლილი შეიტანა ახალგაზრდა, დამოუკიდებელი საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების საქმეში.

ბატონ გოდერძი კუპრავას აქვს სამი გამოგონება „ვარციხეჰესების კასკადის აგრეგატების მაღალეფექტურობაზე“, რაც ენერგეტიკას აძლევდა და დღემდე აძლევს საშუალებას, დაზოგოს ასეულობით ათასი ლარი.1999-2000 წლებში ბატონი გოდერძი იყო ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე. მუშაობის პერიოდში მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და სიგელი.

დიდებული ადამიანის, შესანიშნავი მეგობრის გოდერძი კუპრავას ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მეგობრებისა და ახლობლების გულში. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი;
საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი.

სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო და ადმინისტრაციული მენეჯმენტი გამოხატავენ მწუხარებას დიდი მეწარმის, სამგზავრო ტრანსპორტის ორგანიზების მაღალი დონის სპეციალისტის, დიდებული პიროვნებისა და ქველმოქმედის

ზურაბ ნესტორის ძე ყვავაძის

გარდაცვალების გამო.

◎ ისმინე, სწავლის მძებნელო!

უმაღლესმა სასწავლებლებმა 2020 წლის ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი დამატებითი საგნების ჩამონათვალი განსაზღვრეს

უმაღლესმა სასწავლებლებმა 2020 წლის ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი დამატებითი საგნების ჩამონათვალი განსაზღვრეს. ცნობილია იმ დამატებითი საგნების პირველადი ჩამონათვალი, რომლებიც 2020 წლის ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჩააბარონ აბიტურიენტებმა კონკრეტულ პროგრამაზე ჩარიცხვის სურვილის შემთხვევაში.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, უმაღლეს სასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ, დეკემბრის ბოლომდე შეიტანონ ცვლილება აღნიშნულ ჩამონათვალში. ჩამონათვალი გამოქვეყნებულია ბმულზე.

მათივე ცნობით, განათლების კომპლექსური რეფორმის ფარგლებში 2020 წელს აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებს ახალი მოდელით ჩააბარებენ.

გამოცდები ჩატარდება სამ სავალდებულო საგანში:

1. **ქართული ენა და ლიტერატურა;**
2. **უცხოური ენა;**
3. **მათემატიკა ან ისტორია.**

მესამე გამოცდა დამოკიდებულია პროგრამებზე. ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებზე აბიტურიენტები მათემატიკას, ჰუმანიტარულზე — ისტორიას, ხოლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, დარგთაშორისი მიმართულებების არჩევისას ისტორიას ან მათემატიკას ჩააბარებენ.

უმაღლესმა სასწავლებლებმა (რომლებსაც ამის სურვილი ჰქონდათ) უკვე განსაზღვრეს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სავარაუდო დამატებითი საგამოცდო საგნები შემდეგი ჩამონათვალიდან: ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ზოგადი უნარები, გეოგრაფია, ლიტერატურა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სამოქალაქო განათლება.

სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების ინიციატივის გათვალისწინებით, ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამებზე სავალდებულო ოთხი გამოცდა იქნება:

1. **ქართული ენა და ლიტერატურა;**
2. **უცხოური ენა;**
3. **ბიოლოგია;**
4. **მათემატიკა/ქიმია/ფიზიკა** (აბიტურიენტი ირჩევს მინიმუმ ერთს). მეოთხე საგნისთვის გამოყოფილი იქნება კვოტირებული ადგილები, თითოეულ საგანზე არანაკლებ 30 პროცენტისა.

რაც შეეხება სახელოვნებო-შემოქმედებით/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებს, მათზე ჩასარიცხად აბიტურიენტმა სავალდებულოა, შემოქმედებით ტურთან ერთად ჩააბაროს ქართული ენა და ლიტერატურა და უცხოური ენა.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტების ჩარიცხვა არსებული ფორმატით გაგრძელდება.

ამასთან, გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, გრანტი სამი საგნის შედეგების მიხედვით გაიცემა. თუმცა, თუ უმაღლესი სასწავლებელი ითხოვს მეოთხე საგნის ჩაბარებასაც, აბიტურიენტს დაფინანსების მოპოვების კიდევ ერთი შესაძლებლობა ეძლევა.

ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ

2019 წლის 27 სექტემბერს 13:00 საათზე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში. მის: წერეთლის ქუჩა №11-ში გაიმართება E–60 აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის შორაპანი-არგვეთას (F4)-ის მონაკვეთის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება. პროექტი დაფინანსებულია აზიის განვითარების ბანკის მიერ (ADB).

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ:

გია სოფაძე ტელ: 599 93 92 09; ელ. ფოსტა: gia.sopadze@georoad.ge

ლიტერატურულ პრემია „საგურამოს“ ახალი ლაურეატები

ილია ჭავჭავაძის საგურამოს მემორიალურ სახლ-მუზეუმში ლიტერატურული პრემია „საგურამოს“ ლაურეატები დასახელდნენ.

ლაურეატებს შორის არიან საქართველოს პირველი არხის აფხაზური და ოსურენოვანი ვებგვერდების რედაქტორები ირმა ოსია და ნაირა ბეპიევი.

ირმა ოსიამ და ნაირა ბეპიევმა ქართველი პოეტის დავით მაღრაძის პოემა „ჯაკომო პონტი“ აფხაზურ და ოსურ ენაზე თარგმნეს. თარგმანების პრეზენტაცია 2019 წლის მაისში გაიმართა.

პოემა „ჯაკომო პონტი“ დავით მაღრაძემ 2009 წელს დაწერა. ის ათ ენაზეა თარგმნილი.

პრემია „საგურამოს“ ლაურეატების დაჯილდოება 8 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს გაიმართება.

12 ოქტომბერს ღვინის ფესტივალი გველოდება

თბილისში, შარდენზე, მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს „ქართული ღვინის ფესტივალი 2019“ გაიმართება.

ქართული ღვინის მწარმოებლები, მცირე, საშუალო და დიდი მეღვინეები ფესტივალის სტუმრებს საკუთარ ღვინოებს წარუდგენენ.

ფესტივალის სტუმარს შესაძლებლობა ექნება, დააგემოვნოს კახეთის, ქართლის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, აჭარის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონების სხვადასხვა ჯიშის ღვინოები. ღონისძიების ფარგლებში ასევე გაიმართება სხვადასხვა სახის პერფორმანსი.

ფესტივალის მიზანია ქართული ღვინის პოპულარიზაცია, საქართველოში ღვინის სამომხმარებლო კულტურის გაზრდა.

ფშავ-ხევსურეთის აღორძინება შატილიდან იწყება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფშავ-ხევსურეთის ეროვნულ პარკში ვიზიტორთა ცენტრისა და ადმინისტრაციის შენობის მშენებლობა იწყება. ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო ავრცელებს.

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები გამორჩეულია საქართველოში თავისი უნიკალური ლანდშაფტებისა და საერთაშორისო ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, რომელიც მოიცავს საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ, იშვიათ და ენდემურ ფლორისა და ფაუნის სახეობებს.

პროექტს დაცული ტერიტორიების სააგენტო „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში – საქართველო“ – SPPA პროგრამის ფარგლებში ახორციელებს. ვიზიტორთა ცენტრი და ადმინისტრაციული შენობა შატილში აშენდება.

პროექტი დაფინანსებულია გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) მიერ, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკის (KfW) მეშვეობით. ამასთან, სამუშაოები GFA Consulting Group-ის მხარდაჭერით წარიმართება.

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები მოიცავს სამი სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიას, ფშავ-ხევსურეთის ეროვნულ პარკს, ასას აღკვეთილსა და როშკის ბუნების ძეგლს. ტერიტორიის საერთო ფართობი 79 908 ჰექტარია. მისი შექმნის მთავარ მიზანს აღმოსავლეთ კავკასიონის ცენტრალური ნაწილის ორგანული სამყაროს დაცვა, აღდგენა და შენარჩუნება წარმოადგენს.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოცულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

აღმოჩენილია პლანეტა „სუპერ დედამიწა“

ასტრონომები ამტკიცებენ, რომ დედამიწიდან 111 სინათლის წლით დაშორებულ პლანეტა K2-18b-ზე წყალი აღმოაჩინეს. ამის შესახებ ინფორმაციას BBC ავრცელებს.



სპეციალისტების მოსაზრებით, პლანეტის დაახლოებით 50% შესაძლოა, წყლით იყოს დაფარული. ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ იქ სიცოცხლე არსებობს. პლანეტას მეცნიერებმა „სუპერ დედამიწა“ უწოდეს და მომავალი 10 წლის განმავლობაში კოსმოსური ტელესკოპების საშუალებით მის შესწავლას შეეცდებიან.

K2-18b, რომელიც დედამიწიდან 111 სინათლის წლით არის დაშორებული, ჩვენი პლანეტიდან იმდენად შორს მდებარეობს, რომ რთულია იქ ზონდის გაგზავნა. ერთადერთი გამოსავალია, რომ მსოფლიო დაელოდოს ტელესკოპების შემდგომ განვითარებას, რომელიც სავარაუდოდ, 2020-იან წლებში მოხდება და შემდეგ კოსმოსში ეძებოს გაზები, რომელიც მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმების შედეგად გამოიყოფა.

„დიეტით შეპყრობილი“ ქვეყნების სია ცნობილია

მსოფლიოში „დიეტით შეპყრობილი“ ქვეყნების სია გამოცემა სრუაძთ pencil-მა Google Trends-ზე დაყრდნობით შეადგინა. სიის შედგენა Google-ის საძიებო სისტემაზე დაყრდნობით მოხდა. დამუშავდა ინფორმაცია, დიეტასთან დაკავშირებულ საკითხებზე რომელი ქვეყნების მოქალაქეები მიმართავენ ამ საძიებო სისტემას.

საქართველო მე-7-ა იმ ქვეყნებს შორის, სადაც Google-ში დიეტას ყველაზე ხშირად ეძებენ.

Chef's pencil-ის მიხედვით „დიეტით შეპყრობილი“ ქვეყნების TOP 10:

1. პოლონეთი; 2. ავსტრალია; 3. აშშ; 4. ახალი ზელანდია; 5. მოლდოვა; 6. სამხრეთ აფრიკა; 7. საქართველო; 8. ლიბანი; 9. კანადა; 10. გაერთიანებული სამეფო.

◎ სულიერება

ქრება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა მიასინის სავანეში

15 სექტემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესია იხსენიებს სასაწულმოქმედი ღვთისმშობლის ხატის „მიასინი“ პოვნის თარიღს.

ცნობილია, რომ ლეონ III ისავარიანის მეფობის დროს ეს სასწაულმოქმედი ხატი ტბაში ჩაადგეს... თითქმის ასი წლის შემდეგ, მიხეილ III და თეოდორას ზეობის დროს, როცა ხატმებრძოლობა სრულიად შეწყდა, ტბის სიღრმიდან ხატი ზემოთ ამოიმართა და ამდენი ხნის მანძილზე წყალში ყოფნის მიუხედავად, სინესტისაგან სრულიად დაუზიანებელი მორწმუნეებმა იპოვეს.

საგულისხმოა, რომ სასწაულებრივი გამოჩინების მოსახსენებლად სამხრეთის ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში დაწესებულია, სექტემბრის პირველ დღეს მორწმუნეები შეიკრიბონ და თაყვანი სცენ სასწაულებრივად მოქმედ ხატს. ამ დღესასწაულის საგალობლებში ეკლესია მწუხარებას გამოთქვამს ხატმებრძოლობის მძვინვარების გამო და როგორც ზეციურ მფარველს, ევედრება ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, მშვიდობა მოსცეს ყოვლისა სოფელსა.

გიული ლიპარტია

როდიდან მოვიხმართ რძეს?

მეცნიერებმა ადამიანის მიერ რძის მოხმარების ყველაზე ადრეული მტკიცებულებები აღმოაჩინეს. მკვლევართა ჯგუფმა დიდი ბრიტანეთის პრეისტორიული ფერმერების კბილებზე დაფარული რძის ცილა იპოვეს. ამის შესახებ ინფორმაციას BBC ავრცელებს.

ეს აღმოჩენა ადასტურებს, რომ ადამიანები მოიხმარდნენ რძის პროდუქტებს ჯერ კიდევ 6000 წლის წინ – მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ადამიანს განსაკუთრებით ჰქონდა ლაქტოზას აუტანლობა.

კვლევის შედეგად კი უკვე ვარაუდობენ, რომ მაშინდელი ადამიანები რძეს ამუშავებდნენ და იღებდნენ ყველის, იოგურტის თუ სხვა სახით, დამუშავების შედეგად კი ლაქტოზის შემცველობა მცირდებოდა და რძის პროდუქტის მოხმარება უფრო სასიამოვნო ხდებოდა.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9638; ევრო - 3.2670;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6526;
100 რუბლი - 4.5569; თურქული ლირა - 0.5153;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7433;
1000 სომხური დრამი - 6.2239.

ამინდი 14 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+25
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+28
თბილისი:	ღამე	+12,	დღე	+25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge